სექტემბერი
1935 წ.
№ 117

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
SEPTEMBRE
1935—№ 117

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

შინაარსი:

'მეთაური—ისტორიული თარიღი.
ნოტა ერთა ლიგის მე-17 საერთო ყრილ. თავმჯ.
ივ—ძე—ინტერნაციონალი და ომი.
გ. ჟურული—კავკასიის კონფედერაც. ირგვლივ.
ი. სალაყაია—წყნარ ოკეანეს პრობლემა.
უცხოეთის მიმოხილვა.
საქართველოს საკითხი.
ნაური—წერილი ამერიკიდან.
ვარშაველი—ქართველთა კოლონია ვარშავაში.
ვ. აბვლმდიანი—წერილი ხარბინიდან. და სხვ.

ისტორიული თარიღი

ნაზის ყრილობა ნიურნბერგში, საერთაშორისო თვალსაზრისით, ნამდვილი ისტორიული თარიღია. ჰიტლერის გერმანიამ პირველათ მოახდინა მსოფლიოსთვის დასანახათ თავისი სამხედრო აღლუმი და იდღესასწაულა ვერსალის ბორკილებისაგან განთავისუფლება. გერმანია, როგორც დიდი სახელმწიფო, ომის შემდეგ მხოლოდ ეხლა ევლინება ქვეყნიერებას მთელის თავის დარაზმულობით. უცხოელი კორესპონდენტები ასწერენ ყველა ჯურის განსაცვიფრებელ იარაღებს, აკრძალულს ვერსალის ზავით. არსაიდან პროტესტი, fait accompli.

განიარაღების კონფერენციამ კიდევ დეკემბერს 1932 წ. იცნო გერმანიის სწორუფლებიანობა შეიარაღების მხრივ სხვა სახელმწიფოებთან, მაგრამ მან ვერ განახორციელა ეს პრინციპი, რისთვისაც გერმანია გავიდა როგორც ამ კონფერენციიდან, ისე ერთა ლიგიდან. შეიქმნა სრულიად შეუსაბამო მდგომარეობა: ევროპა მსჯელობს ომსა და ზავზე და გერმანია იქ არ არის! როგორ შეუძლია ევროპას ეს საბედისწერო კითხვები გადასჭრას, თუ მისი შუაგული ამოღადრულია, თუ მისი გამაერთიანებელი მთავარი ძარღვი გაწყვეტილია? ან ვისთვის უნდა იყოს საიდუმლოება, რომ ზავი უგერმანიოთ მხოლოდ ომს მოასწავებს ევროპაში?

არავისთვის, და ეს მაინც ასეა დღეს დღეობით. ამბობენ, ამის მიზეზი რეჟიმიაო და ივიწყებენ, რომ ბოლშევიკურ რეჟიმს არ შეუშინდენ დღევანდელნი მართველნი და მოსკოვის დესპანი გვერდში ამოისვეს. მაშ მიზეზი სხვა ყოფილა, უფრო ღრმა და აღმოუფხვრელი. 1918 წლის დამარცხებამ გერმანია ვერ შეარიგა მის შედეგებთან, რომელიც 60 მილიონიან ერს გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა, უსპობდა გასაქანს, უხშობდა მომავალს. მან სცადა ამ მძიმე ტვირთის ზიდვა, ზიდა კიდეც 15 წელიწადი და ბოლოს ვერ გაუძლო. ვერსალის ზავს ვაიმარის კონსტიტუციაც ზედ მიაყოლა.

ცხადია, მიზეზი გერმანელ ერის ღრმა ფსიქოლოგიურ გარდატეხაში უნდა ვეძიოთ, მან თავის ხელით გადასცა ჰიტლერს სახელმწიფოს საჭე და სდგას მის დროშის ქვეშ, წარმოადგენს უდიდეს ძალას და ითამაშებს გადამწყვეტ როლს ომისა და ზავის საკითხში. ეკონომიურათ უაღრესათ დაწინაურებულ ქვეყანაში, კლასთა ბრძოლის სამშობლოში, სოციალურ მოტივებს ძლია ეროვნულმა მოტივებმა და მით ერთხელ კიდევ დაგვანახა, რა მოელის კლასს და მის მესვეურებს, როცა ისინი ივიწყებენ ერს. გაიხსენეთ საარი და მისი მცხოვრებნი, რომელნიც არ შეუშინდენ რეჟიმს, ოღონდ საერთო სამშობლოს ჭერ ქვეშ ამოეყოთ თავი. ასე ძლიერია და მიმზიდავი ეროვნული მოტივი, თუ, რასვკვირველია, თვით ერი არის საკმაოთ მომწიფებული. რა უნდა ითქვას კანტის და ფიხტეს ერზე? აი, ვის უპირებდენ რკინის სალტებში ჩასმას! ტყუილა კი არ ამბობდენ კლემანსოზე: ომი მოიგო, ხოლო ზავი წააგოვო.

ამიტომ იმეორებდა ბრიანი ასე ხშირათ, ვერსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ზავი მე არ დამიწერიაო. მას ესმოდა ზედმიწევნით, რომ ყველაფერი შეგიძლია შესცვალო, მაგრამ ვერ შესცვლი გერმანია-საფრანგეთის გეოგრაფიულ მდებარეობას, საჭიროა საერთო ენის გამონახვა ამ ორ მეზობელ ერთა შორის. მან სცადა ეს და შედეგი ლოკარნოს პაქტი იყო. ევროპამ თავისუფლათ ამოისუნთქა და ბრიანი, შტრეზემანი, ჩემბერლენი ნობელის პრემიით იქნენ დაჯილდოებულნი.

მაგრამ ლოკარნომ მაინც ვერ უშველა საქმეს, მით უფრო, გერმანიას გაცილებით უფრო მძიმეთ, ვინემ დანარჩენ ქვეყნიერებას, თავს დაატყდა ეკონომიურ-ფინანსური კრიზისი. ბრძოლამ ხელისუფლებისათვის ისეთი მწვავე სახე მიიღო, რომ მოსკოვში უკვე შედგენილი იყო «სოვნარკომი» ბერლინისთვის და საცაა უნდა გადაბარგებულიყო იქ! ჰიტლერი ამ მომაკვდინებელ საფრთხის პასუხი იყო, უწინარეს ყოვლისა.

და აი, ჩვენ ვხედავთ იმავე ჰიტლერს ნიურნბერგში, რომელიც უთვალავ ხალხის წინაშე მოუწოდებს განათლებულ კაცობრიობას ბოლშევიზმთან ბრძოლისათვის. ის მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ გერმანიამ გადაარჩინა ევროპა მოსკოვიტების ბარბაროსობისაგან. ჰიტლერის თანაშემწენი აუარებელი ფაქტებით ასაბუთებდენ იმავე დედა-აზრს.

შეტევაზე პირველათ ხომ მოსკოვი გადვიდა კომინტერნის ყრილობაზედ, აგვისტოში. მთელი ერთი თვის სჯა-ბაასი და რეზოლუციები მხოლოდ და მარტო ჰიტლერის გერმანიასთან ბრძოლას მოანდომეს. ტაქტიკაც ამიტომ შესცვალეს, თუმცა მიზანი იგივე დარჩა: მსოფლიოს აფეთქება. თუ წინეთ კომინტერნი და მისი სექციები არ ინდობდენ დემოკრატიას, არც სოციალისტებს, ყველგან გათიშვა შექონდათ, მეშვიდე ყრილობა, სტალინის კარნახით, მოუწოდებს მათ სოციალისტურ და ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან ერთი ფრონტის შექმნისათვის, ნაზის და ომის წინაამდეგ.

ჩვენ უკვე ვხედავთ, თუ რამდენათ საშიში გახდა დღეს მოსკოვის თვალთმაქცი ტაქტიკა ევროპის მუშათა მოძრაობისათვის. ზოგ ქვეყნებში მართლა დაიჯერეს ბოლშევიკების გულწრფელობა, ჰკრავენ კავშირს კომუნისტებთან და ნაწილათ არა-მუშებსაც კი ითრევენ საერთო ფრონტში დემოკრატიის დასაცავათ!

მაგრამ რაღა მუშათა ორგანიზაციები, როცა მართველნიც, მთავრობანიც იმავე ანკესზე აეგენ. ჟენევაში ლიტვინოვი ზავისა და მცირე ერთა დაცვისათვის ღაღადებს, მაშინ როცა საბჭოთა კავშირში ნამდვილი ომი მძვინვარებს როგორც ერთა, ისე მთელ მოსახლეობის წინაამდეგ. ისე გათამამდა ეს ვაჟბატონი, რომ გერმანიას და პოლონეთს აგრესიულ მიზნებს უკიჟინებს, მაშინ როდესაც მისი ბატონი სტალინი 13 მილიონ წიგნაკს გზავნის ქვეყნიერების სამოქალაქო ომში გასახვევათ.

ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ პოლონეთის საგარეო მინისტრმა ბეკმა სასტიკი პროტესტი განაცხადა ლიტვინოვის მხდალი გამოსვლის წინაამდეგ. ვამბობთ «მხდალი», რადგან ლიტვინოვს არ დაუსახელებია არც პოლონეთი, არც გერმანია, ისე დაესხა უკნიდან. ორ მხროვან თუ მრავალ მხროვან პაქტის მნიშვნელობა, რომელზედაც ააგო მოსკოვის მოგზავნილმა თავისი თავდასხმა, ბევრ გაუგებრობას და ცალმხრივობას იწვევს ევროპის მემარცხენე წრეებში და ხშირათ დაუშვებელი პოლიტიკური დასკვნები გამოაქვთ.

როცა საფრანგეთი, მოკავშირე პოლონეთის დაუკითხავათ, უშუალოთ გადაება საბჭოთა კავშირს და მასთან ძველი «ალიანსი» აღადგინა, რაიცა ნათელჰყო მათმა სამხედრო თანამშრომლობამ, პოლონეთისთვის დაისვა ალტერნატივი: რუსეთთან ან გერმანიასთან, მესამე გამოსავალი არ იყო. სანამ ბერლინში ბატონობდა ბისმარკის ტრადიციული პოლიტიკა: მეგობრობა რუსეთთან პოლონეთის გასაჭყლეტათ—და ეს გრძელდებოდა ვაიმარის რესპუბლიკის დროსაც—, ვარშავას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, პარიზის გეზი უნდა აეღო და მოსკოვსაც თავდაუსხმელობის პაქტით შეკვროდა. მაგრამ მოვიდა ჰიტლერი და პოლონეთს ათი წლის თავდაუსხმელობა და მეგობრობა შესთავაზა. განა შეეძლო მარშალ პილსუდსკის, რომელიც მოწმე იყო და მომქმედ პირიც იმისა, რომ მისი სამშობლოს თავისუფლება, პირველ ყოვლისა, მეფეთა რუსეთის გერმანიის მიერ სასტიკ დამარცხებიდან იშვა,—არ ჩამოერთმია გამოწვდილი ხელი? განა ცარიზმის მემკვიდრე ბოლშევიზმი თავისუფლების მეორე დღეს არ მიადგა ვარშავის კარებს? რა გარანტია ჰქონდა მას, რომ მრავალ მხროვანი პაქტი, რომელიც გულისხმობდა პოლონეთის საომარ ასპარეზად ქცევას, ერთხელ კიდევ არ შემოუსევდა მას «მოკავშირე» წითელ ურდოებს? განა შესძლებთ თქვენ ამ ურდოების თავის ნებით უკან გაყვანას?—ეკითხებოდა პილსუდსკი ბარტუს, რაზედაც უკანასკნელმა ვერაფერი უპასუხა, როგორც მოგვითხრობს ამ ისტორიულ შეხვედრის მემატიანე.

ამრიგათ, პოლონეთმა უკეთ იცის, რასაც შვრება, და ევროპის მემარცხენეთა თავდასხმა მასზე ჩვენზე შთაბეჭდილებას არ ახდენს. ეტყობა, ლიტვინო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვმაც უკეთ იცის ეს, რადგან ბეკის საპასუხოთ მან ვერ გაბედა სოციალ-კომუნისტების თავაშვებული ყარგონი და სრულიად მოწიწებით იმართლა თავი, რასაც ემიგრანტულ რუსულ მემარცხენე პრესამ ტაში დაუკრა. ამის მიზეზი იყო და არის ის გარემოება, რომ პილსუდსკის პოლონეთი დღეს იგი არ არის, რაც ათი წლის წინეთ იყო, ის უკვე დიდი სახელმწიფოა ამ სახელწოდების ნამდვილი მნიშვნელობით და ითამაშებს თავის როლს მრავალ-ერიან საბჭოთა კავშირის ყოფნა-არყოფნის საკითხში.

ვისაც საქართველოს საკითხი საერთაშორისო სასწორიდან არ გადმოუგდია და არ უქცევია საბჭოთა კავშირის საშინაო საკითხად, მისთვის გასაგები უნდა იყოს ზემოთქმული. ჩვენს წინაშე სდგას არა რეჟიმის, არამედ უცხო უღლის გადაგდების საკითხი, ამიტომ სრულიად არ არის ჩვენთვის უმნიშვნელო, ვიცოდეთ, ვინ და რომელი სახელმწიფოს როგორი განწყობილება აქვს ჩვენს მტერთან. სრულიად დაუშვებელია, სანამ საერთაშორისო გეზს არ ავცდენილვართ, ამა თუ იმ დიდი სახელმწიფოს საშინაო რეჟიმი ვქექოთ. ჩვენი ვალია, პირიქით, ყველგან მეგობრები ვეძიოთ. ნამდვილი ნაცარქექიობაა, მეორეს მხრით, ომსა და ზავზე თავი ვიმტვრიოთ და აქეთ-იქით ვიძახოთ, ვინ ხარ მამაციო; ჩვენ ამას არც არავინ გვკითხავს, სავალდებულოა მხოლოდ, როგორც ერთ ისე მეორე შემთხვევაში ჩვენს ერს რამე ვარგოთ.

ნიურნბერგის მოწოდება ბოლშევიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის, უეჭველია, რამდენათმე ეყრდნობოდა ამერიკის და იაპონიის პროტესტს, კომინტერნის ყრილობის გამო, სტალინის მთავრობის წინააღმდეგ. ამ პროტესტში, ისე როგორც ჰიტლერის სიტყვაში, ბოლშევიზმი აღიარებულია საერთაშორისო დამწვრევ ძალად, რომლის წინააღმდეგ სასტიკი ზომები უნდა იქნას მიღებული.

ადრე თუ გვიან ამას გაიგებს მთელი ევროპაც. საფრანგეთში უკვე გრძნობენ კომუნისტების გაათკეცებულ მუშაობის ნაყოფს: რესპუბლიკის მოწინააღმდეგე ძალთა დარაზმვას, გაძლიერებას. ფრანგთა ერი, თუ არჩევანზე მიდგა საქმე, უმალ ნაზის დიქტატურას აირჩევს, ვინემ პროლეტარიატის დიქტატურას—ასე ამბობს მეტათ ფხიზელი და ნიჭიერი ნეო-სოციალისტი დეა.

და ეს დეა იცავს სწორეთ საფრანგეთის მიერ უშუალო მოლაპარაკებას გერმანიასთან საერთო ენის გამოსანახავათ. ინგლისმა უკვე გამონახა ეს ენა, დასდო მასთან საზღვაო ხელშეკრულება, და მისი მეგობარი საფრანგეთიც უთუოთ გაყვება ამ გზას. ტყუილა არ ამბობენ ლავალზე, რომ ის ბრიანის მოწაფეაო, მაშასადამე, უკანასკნელის გეზი მისთვის გასაგები. მას შემდეგ, რაც გერმანია თანასწორი გახდა თანასწორთა შორის, მასთან მოლაპარაკება და შეთანხმების მიღწევა გაცილებით უფრო ადვილია. რამდენჯერ გვითქვამს ამ ადგილას, რომ გერმანია და საფრანგეთი ნამდვილი ხერხემალია ევროპის საბოლოო დაზავების და მშვიდობიან თანამშრომლობის.

ეს კი სიკვდილია კრემლის სტუმრებისთვის.

ნოტა ერთა ლიგის მე-17 საერთო ყრილ. თავმჯდომარეს

ბ. თავმჯდომარე, 1934 წ. 18 სექტემბერს, როდესაც ს. ს. რ. კავშირი მიღებულ იქნა ნაციათა ლიგაში, ჩვენ—კავკასიის ერების, თურქესტანის და უკრაინის წარმომადგენლებმა—თქვენს წინამოადგილეს მე-16 საერთო ყრილობის თავმჯდომარეს გადავეცით საპროტესტო წერილი. იქ ნათქვამი იყო:

«ჩვენ ღრმად გაკვირვებულნი ვართ, რომ ს. ს. რ. კავშირი დაუშვეს ნაციათა ლიგაში ისე, რომ არავითარი პირობა არ წაუყენეს მოსკოვის მთავრობას, რომელმაც აგრესიული აქტები ჩაიდინა ჩვენი ქვეყნების წინააღმდეგ და დაიკავა სამხედრო ძალებით, რომელიც მართველობს ტერორით, რომელმაც შემოიღო იძულებითი მუშაობა თავის ქვეშევრდომთა შორის და ვინც თავის შეუწყნარებელი პოლიტიკით დაამშია ჩვენი მდიდარი ქვეყნები».

ჩვენს პროტესტებზე სხვადასხვა სახელმწიფოების დელეგატებმა გვიპასუხეს, რომ სრულიად აღიარებენ ჩვენი არგუმენტების საფუძვლიანობას, ხოლო ფიქრობენ, რომ ს. ს. რ. კ-ის ნაციათა ლიგაში მიღება, თუნდაც უპირობოთ, გამოიწვევს იმ ძალადობის რეჟიმის აუცილებელს ევოლუციას, რომლის ქვეშ იტანჯებიან წითელი არმიით დაპყრობილი ერებიო.

ერთი წელიწადია, რაც ს. ს. რ. კ. ნაციათა ლიგის წევრია და შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ საბჭოთა რეჟიმში არავითარი გაუმჯობესობა არაა, პირიქით, ზოგი რამ უფრო გაუარესდა. უკანასკნელ წელს მოხდა წითელი ტერორის გაძლიერება. ასე მაგალითად კიროვის მოკვლავ საბაბი მისცა საბჭოთა ხელისუფლებას, დაეხვრიტათ გაუსამართლებლად 132 ადამიანი, სხვადასხვა ერის შვილი, რომელთაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ კიროვის მკვლელობაში. ამას ზედ მოჰყვა მრავალთა დატუსაღება და მასიური გადასახლება. ს. ს. რ. კავშირის ერები კვლავ მუდმივ ტერორის ქვეშ იმყოფებიან.

სარწმუნოებრივი დევნა და დახვრეტა სხვა და სხვა კულტის სამღვდელოთა არ შემცირებულა ს. ს. რ. კ-ის ნაციათა ლიგაში მიღების შემდეგ. არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარი პიროვნული თავისუფლება არ არსებობს ამ ქვეყანაში, რომელიც თუმცაღა მონაწილეა ერთა ლიგის, არ ცნობილობს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს.

იძულებითი მუშაობა არსებობს მთელი ს. ს. რ. კ-ის სივრცეზე და პირდაპირ ჯოჯოხეთური ცხოვრება აქვთ ჩრდილო რუსეთის გაყინულ კატორღებში მოთავსებულებს. დანარჩენი მოსახლეობა, ვითომდა თავისუფალი, ექვემდებარება შრომის სასტიკ საბჭოურს წესებს, რაიც სრულებით არ ეგუება შრომის საერთაშორისო ბიუროს შემუშავებულ პირობებს.

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მოსატყვილებლად და ერთა ლიგის მეტი პატივის დასამსახურებლად, საბჭოთა მთავრობამ მოახდინა ზოგი გარეგნული რეფორმა. მაგალითად კომუნისტურ პარტიის მე-17 კონგრესზე მოსკოვში დადგენილი იყო საარჩევნო უფლების შეცვლა გლეხთა სასარგებლოთ. მაგრამ ეს პროექტი კიდეც რომ განხორციელდეს ერთ დღეს, არაფერს შეცვლის, რადგან ტერორის რეჟიმი და თავისუფლების სრული უქონლობა ნებას არ მისცემს მოსკოვის დამონებულ ერებს გამოიყენონ ხსენებული «ცვლილება».

მეორეს მხრით საბჭოთა ხელისუფლებამ, იცოდა რა, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია აშფოთებდა მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, ისე უჩვენა ყველას, რომ თითქოს გაუმჯობესა კოლმეურნეობათა რეჟიმი. მაგრამ სასოფლო მეურნეობის 1935 წ. რეფორმის შესწავლა გვიმტკიცებს, რომ არსებითად არაფერი გამოცვლილა, ხოლო განსაზღვრულია რაოდენობა თითოეულ კოლმეურნეობის დასამუშავებელ მიწისა და დადასტურებულია (რაც წინადაც არსებობდა) ნებართვა საკუთარი ბოსტნისა და რამდენიმე საქონლის, მიწის უმეტესი ნაწილი კი ისევ კოლმეურნეობათა საერთო მფლობელობაში რჩება, დარჩა იგივე ბატონყმობა თავის აუცილებელ შედეგებით, სიმშილით, მაგალითად, რომელიც მუდამ ემუქრება ს. ს. რ. კავშირის ერებს.

საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო პურის ბარათები და სხ. და ეს წარმოადგინა როგორც დიდი წარმატება გამოკვების საქმეში. მაგრამ თუ ამ ცვლილებამ გაამრავლა პროდუქტები ბაზარზე, ამავე დროს გაადიდა მათი ფასიც და ამას ის მოყვა, რომ მცხოვრებლები ახლა უარესად იკვებებიან ვიდრე წინად.

ასეთ «რეფორმებთან» ერთად უნდა აღინიშნოს შემდეგი მოვლენა: ხელისუფლებამ მოახდინა მცხოვრებთა ევაკუაცია საზღვრებზე, 50-70 კილომეტრის სიღრმით. ამასთანავე უკრაინაში 150-200 კილომეტრის მანძილის საზღვარზე უკრაინელი მკვიდრნი ჩრდილო რუსეთში გადაასახლა და მათ ალაგას დაადინავა ცენტრიდან გადმოყვანილი წმინდა რუსები. მსგავსი ზომები იყო მიღებული კარელიაში, კავკასიასა და თურქესტანშიც.

ყველამ უწყის ბოლშევიკების მეთოდი, რომლის ძალით აყარეს და გადაასახლეს მთელის ოჯახობით ყველა შეძლებული გლეხი (კულაკები). ამ საშუალებით მარტო ერთი უკრაინიდან ორმილიონ ნახევარი გლეხი იქმნა გადასახლებული ციმბირსა და სხვაგან. ამ დრაკონულ ზომას დღესაც მიმართავენ კავშირის განაპირებზე, რაიც განსაცდელში აგდებს ზოგიერთ ერებს.

აღვნიშნავთ რა ამ ფაქტებს, მივაქცევთ ყურადღებას იმას, რომ დღიდან საბჭოთა კავშირის მიღებისა ჟენევის დაწესებულებაში ერთა ლიგა გახდა მონაწილე მორალური პასუხისმგებლობისა ჩვენი ერების მწარე ბედისა საბჭოურ უღელს ქვეშ. ჩვენ კვლავ პროტესტს ვაცხადებთ მთელი ჩვენი ენერგიით კავკასიის, თურქესტანის და უკრაინის ოკუპაციის წინააღმდეგ, პროტესტს ვაცხადებთ იმ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ახჩობს ჩვენს ერებს, აგრეთვე ვოლგის თათრებს და ყირიმელებს, ბელორუსებს, კარელიელებს, კაზაკებს და კავშირის მთელს მოსახლეობას.

იმედოვნებდენ, რომ რაკი ს. ს. რ. კ. ერთა ლიგაში შევიდოდა, შენელდებოდა ის დამარღვეველი მუშაობა, რომელსაც ის ეწევა მთელ დედამიწაზე. მაგრამ კომინტერნის უკანასკნელი კონგრესი მოსკოვში, მისი რეზოლუციები და განსაკუთრებით სიტყვა მომხსენებელის დიმიტროვის წარმოთქმული დიქტატორის დანადასწრებით და მისივე მოწონებით,—ამტკიცებენ, რომ მოსკოვს არ შეუცვლია თავისი ბუნება ლიგაში მიღების შემდეგ. იგი აწარმოებს ორმაგს თამაშს: სახალხო კომისრის ლიტვინოვის «პაციფისტურ» პოლიტიკას თან მოსდევს ჩარევა ყველა ქვეყნის შინაურ საქმეებში და კომინტერნის აქტივობა, ვითომდა ანტიფაშისტური, რომლის უკან ამოფარულია მტკიცე გადაწყვეტილება მსოფლიო რევოლუციის მოსახდენად—ის, რამაც ამას წინად გამოიწვია პროტესტები შეერთებული შტატების, იაპონიის და სხვების.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სრულებით არ შეესაბამება ერთა ლიგის პაქტს, ამ მაღალ დაწესებულებაში წარმომადგენელი ყავდეს მთავრობას, რომელიც თავის ძალაუფლებას ამყარებს ამდენი ერის დაჩაგვრაზე, რომელიც ცდილობს მშვიდობიანობის დამხობას, ქადაგებს სამოქალაქო ომს და მსოფლიო რევოლუციას.

ვათავებთ რა ამ წერილს, კვლავ მივაქცევთ თქვენს ყურადღებას, რომ მიუხედავად სასტიკ დევნათა, რომელთაც განიცდიან ჩვენი ერები, ისინი არასოდეს შეწყვეტენ ბრძოლას ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის. დარწმუნებული ვართ, რომ ერთა ლიგა სრულს დახმარებას აღმოუჩენს ჩვენს სამართლიან მოთხოვნილებებს.

ხელს აწერენ:

მ. იაკუბ, აზერბაიჯანის დელეგაციის თავმჯდომ.
ტ. მახმან, ჩრდილო კავკ. ეროვნ. ცენტრის წევრი.
ა. ჩხენკელი, საქართველოს ყ. ელჩი საფრანგეთში.
მ. ჩოკაი, თურქესტანის ეროვ. კომიტ. დელეგატი.
ა. შულგინი, უკრაინის ერ. მთავრობის დელეგატი.

1935 წ. 19 სექტემბერი.

ჟენევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერნაციონალი და ომი

ამ სათაურით დაიბეჭდა ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენებზე თეზისები ო. ბაუერის, თ. დანის, ა. დიუნუას და ჟ. ჟირომსკის ხელის მოწერით და მუშათა სოც. ინტერნაციონალის გენერალური მდივნის ფ. ადლერის წინასიტყვაობით. რომ ეს თეზისები მის ავტორებს ხელმოუწერლად გამოეცათ და ადლერსაც თავი შეეკავებია წინასიტყვაობის მიძღვნისაგან, მკითხველი მას უთუოდ ჩათვლიდა მოსკოვის სათანადო კანცელარიაში გამზადებულ ნაწარმოებად.

შეუძლებელია ერთ საგაზეთო წერილში აღნუსხო და გაარჩიო ყველა ის განსაცვიფრებელი მარგალიტები, რომელნიც ანცობილია ამ დოკუმენტის მთავარ ძაფზე. მოკლედ გადმოცემული მთავარი აზრი ამ თეზისებისა ასეთია:

ომის სამშიშროება კარზეა მომდგარი; ეგ მომავალი ომი იქნება ორი კოალიციის სამკვდრო სასიცოცხლო შეჯიბრება. ერთი კოალიციის მეთაური იქნება ჰიტლერის გერმანია, მეორესი სტალინის საბჭოთა კავშირი. პირველია ფაშიზმის უძლიერესი სიმაგრე; მისი გამარჯვება იქნება ევროპაში გაფთრებული ფაშისტური რეაქციის გამეფება. პირიქით, მისი დამარცხება კი ხელ-ფეხს გაუხსნის პროლეტარულ რევოლუციას და შესაძლოდ გახდის სოციალიზმის გამარჯვებას მთელ ევროპაში. საბჭოთა კავშირმა კი ექსპროპრიაცია მოუხდინა მსხვილ მემამულეებს და კაპიტალისტებს, შექმნა ნაციონალიზაცია-ქმნილი ძლიერი მრეწველობა, კოლექტივიზაცია მოახდინა სასოფლო მეურნეობაში და საგრძნობლად ასწია კავშირის საზღვრებში მობინადრე ხალხების კულტურული დონე. მართალია, ყოველივე ეს მოხდა ტეროორისტული დიქტატურის ზეგავლენით, მაგრამ ეგ დიქტატურა შესძლებს თავისი თავის ლიკვიდაციას, მოახდენს მთელ რიგს სხვა სასწაულებისა და საბჭოთა კავშირს გადააქცევს სოციალისტურ საზოგადოების მომხიბლავ ნიმუშად; ეგ უკანასკნელი კი გაზრდის და გააძლიერებს სოციალისტურ იდეიის მიმზიდველ ძალას. აქედან კი ცხადია, რომ «საერთაშორისო სოციალიზმის ინტერესები სასურველად ხდიან საბჭოთა კავშირის გამარჯვებას».

თავისთავად ცხადია, რომ ამ იდილიურათ დახატულ სურათს დასკვნაც შესაფერი ახლავს: მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი უნდა დადგეს საბჭოთა კავშირის და მის მოკავშირეების მხარეზე. თეზისების ავტორებს შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ამ მოკავშირეთა შორის იმპერიალისტურ და ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ქვეყნების გვერდით აღმოჩნდენ ზოგიერთი ფაშისტური თუ ნახევრად ფაშისტური ქვეყნებიც. მიუხედავათ ამისა ისინი მაინც არ კარგავენ იმედს, რომ საბჭოთა კავშირი, დაამარცხებს რა ფაშისტურ გერმანიას ფაშისტურ და ნახევრად ფაშისტურ მოკავშირეთა დახმარებით, მოახდენს იქ პროლეტარულ რევოლუციას და შეკრავს სეპარატიულ ზავს გასაბჭოებულ გერმანიასთან; ამის შემდეგ საბჭოები მოწყალების თვალს მიაპყრობენ დანარჩენ ევროპას და პროლეტარულ გერმანიის დახმარებით «გააერთიანებენ ევროპის ყველა ხალხებს სოციალისტურ მუშურ-გლეხურ რესპუბლიკების ერთ ფედერაციაში». ევროპაში დამყარდება ისეთი წესწყობილება, რომელსაც «არავითარი ომები არ ეცოდინება».

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ეგ პრიმიტიული უტოპია გაიზიაროს რომელიმე საღად მოაზროვნე სოციალისტმა, მით უმეტეს შეუძლებლათ მიგვაჩნია, რომ იგი თავის პროგრამათ გაიხადოს მუშათა სოციალისტურმა ინტერნაციონალმა; ამიტომ საჭიროდაც კი არ მიგვაჩნია შევჩერდეთ თეზისების ამ მხარეზე. ჩვენ უფრო საინტერესოდ მიგვაჩნია, ვიცოდეთ, თუ რა საბუთებს ეყრდნობიან თეზისების ავტორები, როდესაც მთელი ევროპის სათნოებისა და სიყვარულის ქვეყნად გარდაქმნის იმედებს ამყარებენ იმ საბჭოთა კავშირის გამარჯვებაზე, რომელმაც მსოფლიოს მეექვსედი ნაწილი აქცია ხალხთა დაუსრულებელ წამებისა და ჟლეტის ისეთ ციხედ, რომლის მზგავსი არც ნიკოლოზის რუსეთსა და არც ფრანც-იოსების ავსტრო-უნგრეთს სიზმარშიაც კი არ უნახავთ. მკითხველი უნაყოფოდ დახარჯავდა დროს თეზისებში ასეთი საბუთების ძებნით. ვინც სტალინის ყმად ქცეულ საბჭოთა კავშირს აწერს საერთაშორისო მუშათა კლასის განმანთავისუფლებელ მისიას, იგი ან სრულიად არ იცნობს საბჭოთა კავშირის დღევანდელ მდგომარეობას და იმ ყოფას, რომელშიც ჩავარდნილია კავშირის მუშათა კლასი, ან შეგნებულად თაღლითობს. ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ თეზისების უცხოელი ავტორები მართლაც არ იცნობენ საკმაოდ ამ მდგომარეობას და ამიტომ მათ ზოგი რამ კიდევ ეპატიებათ, მაგრამ ის კი ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ბ-ნი დანი თაღლითობს და შეგნებულად ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს საერთაშორისო მუშათა კლასი.

ყველა გულწრფელ დემოკრატისათვის ერთნაირად მიუღებელია ყველა ფერის დიქტატურა და არც ერთ მათგანს თავში აზრად არ მოუვა რაიმე მსხვერპლი გაიღოს იმისთვის, რომ ერთი დიქტატურა ჩამოაგდოს და მის ნანგრევებზე დაამკვიდროს მეორე დიქტატურა,—შეიძლება უფრო სასტიკი და უფრო მკაცრი,—რომელიც მუშათა კლასის მდგომარეობას კი არ გააუმჯობესებს, არამედ საგრძნობლად გააუარესებს. სტალინის საბჭოთა კავშირს გამარჯვების შემთხვევაში შეუძლია დაამყაროს სხვა ქვეყნებშიც მხოლოდ ისეთი რეჟიმი, როგორიც მას აქვს თავის ქვეყანაში. რას მოიგებს ამით საერთაშორისო სოციალიზმი და საერთაშორისო დემოკრატია? არაფერს,—წაგებით კი ბევრს წააგებს. პოლიტიკური მუხრუჭი საბჭოთა კავშირში უფრო ლიბერალური არ არის ვინემ დიქტატურის სხვა ქვეყნებში; მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა როგორც ფაშისტურ ქვეყნებში, ისე მით უმეტეს ბურჟუაზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ-კაპიტალისტურ ქვეყნებში, გაცილებით უკეთესია, ვინემ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის. საფრანგეთში და გერმანიაშიც უმუშევარი უფრო მეტს იღებს დახმარების სახით, ვინემ საბჭოთა კავშირში სამუშაოზე მდგომი მუშა. არც ერთი ევროპიელი მუშა არ მოითმენს ისეთ ყვლეფას, ისეთ უნამუსო ძარცვას, როგორსაც ათმენიებს სასტიკი სასჯელის შიშით სტალინის ხელისუფლება საბჭოთა კავშირის მუშას. ეგ ყველაფერი კარგად იცის ბატონმა დანმა, მაგრამ ის კი არ უნდა, იცოდეს და გაიგოს, რომ ასეთ ყოფაში ჩაყენებული მუშათა კლასი ვერავითარ ენტუზიაზმს და სურვილს ვერ გამოიჩენს, დაიცვას ის «რევოლუციონური ქვეყანა», რომელიც მისთვის ბოროტ დედინაცვალზე უფრო მკაცრი და ულმობელია.

მეორეს მხრით საბჭოთა ხელისუფლება და მისი ფილიალი კომინტერნი ყოველთვის დიდ საშიშროებას წარმოადგენდა საერთაშორისო მუშათა კლასისათვის. განა ვისთვისმე სადაო ფაქტია ის, რომ კომინტერნის აგენტები კომინტერნის დაარსების პირველ დღიდანვე მხოლოდ იმაზე ზრუნავენ და მუშაობენ, რომ რღვევა და განხეთქილება შეიტანონ საერთაშორისო მუშათა კლასის რიგებში, დაასუსტონ და დაანგრიონ მისი პროფესიონალური და პოლიტიკური ორგანიზაციები?!. განა სოციალისტურ მოძრაობის ყველა გამოჩენილი ხელმძღვანელები ჯერ კიდევ გუშინ იმ აზრის არ იყვენ, რომ კომინტერნის აგენტების ბოროტი საქმიანობა გზას უკაფავს ევროპის სახელმწიფოებში რეაქციას და უდიდეს მუქარას უქმნის დემოკრატიულ თავისუფლებებს?!. განა უდაო ფაქტი არ არის ის, რომ ფაშისტურმა დიქტატურამ გაიმარჯვა იმ ქვეყნებში, სადაც კომუნისტური მოძრაობა ძლიერი იყო და ქვეყანას გასაბჭოება მოელოდა?!. ყველა ამის შემდეგ არავის შეუძლია სინდისის ქვეშ სთქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლება და მისი უხვი სუფსიდიებით აღზრდილი და გამოკვებილი კომინტერნი და კომუნისტური პარტიები გულწრფელად დაიცავენ დეკოკრატიულ თავისუფლებებს. ამის უტყუარ საბუთებს იძლევა სხვათა შორის კომინტერნის უკანასკნელი კონგრესის რეზოლიუციებიც და იქ წარმოთქმული სიტყვები. გველი ტყავს იცვლის, ზნე-ჩვეულებას და ბუნებას კი არასოდეს. კომუნისტების ბუნება დღესაც იგივეა, რაც გუშინ იყო და ასეთივე დარჩება სამუდამოდ.

თეზისების ავტორები ზევით აღნიშნულ ჯოჯოხეთურ რეჟიმის შემქმნელ ხელისუფლების ყოფნა-არყოფნას უკავშირებენ საერთაშორისო მუშათა კლასის ინტერესებს და ამ უკანასკნელს მოუწოდებენ, იგი დაიცვას მთელი თავისი არსებით და დიდის ენტუზიაზმით, ხოლო მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი კი უნდათ გადააქციონ კომინტერნის ფილიალად და აკეთებინონ ის, რასაც მას უკარნახებს კომინტერნის პირით საბჭოთა ხელისუფლება. რომ სოციალისტურმა ინტერნაციონალმა ეს მოწოდება ისმინოს და თეზისებში ნაჩვენებ გზას დაადგეს, იგი წარმოუდგენელ არევ-დარევას შექმნიდა ევროპის მუშათა კლასში და მის უდიდეს ნაწილს გადაისვრიდა რეაქციის ბანაკში: საერთაშორისო რეაქცია საგრძნობლად გაძლიერდება, ხოლო დემოკრატიული და სოციალისტური მოძრაობა დიდი ხნით დასუსტდება და დიდად დაზარალდება. სრულიად წინაამდეგ შედეგს მივიღებთ, თუ სოციალისტური ინტერნაციონალი, ნაცვლად თეზისებში გათვალისწინებულ გზაზე შედგომისა, გადაჭრით გაემიჯნება საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ მოძრაობას, თუ ერთხელ და სამუდამოდ უარყოფს იმ უაღრესად შემცდარ აზრს, რომ თითქო ერთი და იგივე საბოლოო მიზანი ქონდეთ კომუნისტურ ექსპერიმენტებსა და საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობას. კომუნისტური სოციალიზმი უცუდესი ფორმის მონობაა, მას არაფერი აქვს საერთო იმ საზოგადოებრივ გარდაქმნასთან, რომელსაც მიზნად ისახავს დემოკრატიული სოციალისტური მოძღვრება. უკანასკნელი უაღრესად ჰუმანიური მიზნების მატარებელია, ხოლო პირველი კი უსასტიკესი დესპოტიის განსახიერება. ასეთი გადაჭრილი გამიჯვნა ერთის მეორისაგან სოციალისტური ინტერნაციონალის ირგვლივ შემოკრებდა როგორც მუშათა კლასის ყველა საღ ელემენტებს, ისე ყველა იმ საშუალო კლასებს, რომელთაც დღეს კომუნისტური დიქტატურის და მისი გამანადგურებელ ექსპერიმენტების შიში რეაქციონერთა ბანაკისაკენ ერეკება.

დასასრულ უნდა შევეხოთ თეზისების იმ ადგილს, რომელიც შეეხება საბჭოთა კავშირის დაჩაგრულ ერების სოციალისტურ პარტიებს. საბჭოთა კავშირის ნახევარ მოსახლეობას შეადგენენ ცეცხლითა და მახვილით დაპყრობილი ერები, რომელნიც გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ უცხო ულლის გადასაგდებად და თავისი ქვეყნის სუვერენულ უფლებების აღსადგენად. თეზისების ავტორები ყოფილ ავსტრო-უნგრეთს იხსენიებენ ხალხთა ციხეთ; ეს სახელწოდება თავის დროზე მართლაც არ იყო მოკლებული აზრსა და შინაარს, მაგრამ იგი კიდევ უფრო მეტად უდგება დღევანდელ საბჭოთა კავშირს. დაპყრობილ ერების მიწაწყალი და მთელი ავლა-დიდება გადაქცეულია კომუნისტურ მოსკოვის კოლონიად, ხოლო მოსახლეობა სრულიად უუფლებო მონებად. წითელი მოსკოვის იმპერიალისტური სულისკვეთება გაცილებით უფრო სუსხიანი და მკაცრი გამოდგა, ვინემ მეფის რუსეთის; საუკეთესო მამულიშვილების განუკითხავად და განუსჯელად დახვრეტამ, ხალხის მასიურად დახოცვამ და უცხო შორეულ ქვეყნებში გადასახლებამ ყოველივე საზომს გადააჭარბა. საქართველოში ზოგიერთი ოჯახები სავსებით ამოწყვიტეს დიდიან პატარიანად,—აკვნის ბავშვებიც კი არ დაინდვეს. გარდა ამისა მთელ საქართველოში ოციოდე ოჯახს ვერ ნახავთ ისეთს, რომელსაც თუ ორი და მეტი არა, ერთი წევრი მაინც არ ყავდეს ან მოკლული, ან ციხეში გამომწყვდეული, ან რუსეთის მივარდნილ კუთხეში გადასახლებული. ასეთ დაპყრობილ და დაჩაგრულ ერების, განსაკუთრებით უკრაინის, საქართველოს და სომხეთის სოციალისტურ პარტიებისგან მოითხოვენ თეზისების ავტორები სასტიკ მჩაგვრელის დაცვას და მისთვის თავის დადებას ყოველივე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირობის გარეშე; წინაამდეგ შემთხვევაში, ბაუერ-დანის აზრით, მათ ადგილი არ უნდა დაურჩეს მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალის რიგებში. საბჭოთა კავშირის სიყვარულს ისე დაუბრმავებია თეზისების ავტორები. რომ ყოველივე ზომა დაუკარგავთ და ისიც კი ვერ მოუსაზრიათ, რომ—სხვას რომ თავი გავანებოთ—დაჩაგრულისთვის ფსიქოლოგიურად არის შეუძლებელი დამჩაგვრელს გამოექომაგოს და მისი პრესტიჟის გზდაზე იზრუნოს. სოციალისტური ინტერნაციონალის ერთი სასახელო ტრადიციათაგანი იყო დაჩაგრულ ერების გვერდში დგომა და მათთვის ქომაგობის გაწევა. თეზისების ავტორებს ინტერნაციონალის ასეთი «ტრადიციული იდეები» ახლანდელ მდგომარეობისთვის შეუფერებლად მიაჩნიათ და მათ უკუგდებას მოითხოვენ.

ჩვენ არა გვგონია, რომ მუშათა სოც. ინტერნაციონალმა ასეთ უგნურ მოთხოვნილებებს რაიმე ანგარიში გაუწიოს და იგი თავის მოთხოვნილებად გამოაცხადოს. წინაამდეგ შემთხვევაში მას გამოეთიშებოდენ არა მარტო უკრაინის, საქართველოს და სომხეთის, არამედ სხვა მრავალ პატარა და ზოგი დიდი ერების სოციალისტური პარტიებიც და იძულებული გახდებოდენ შეექმნათ ისეთი ინტერნაციონალი, რომელიც მართლაც ჩაგრულთა და ტვირთმძიმეთა დამცველი და მოსარჩლე იქნებოდა და არა დამპყრობელთა და მჩაგვრელთა კონტროლის ქვეშ მყოფ კომინტერნის ფილიალი. მაგრამ ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ საქმე აქამდე არ მივა; მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი არ უღალატებს თავის სასახელო ტრადიციებს და არ მიაფურთხებს იმას, რასაც წარსულში ემსახურებოდა და თაყვანს სცემდა. ამ შემთხვევაში კი ცხადი იქნება, რომ მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალის რიგებში ადგილი არ იქნება არა დაჩაგრულ ერების სოციალისტურ პარტიებისათვის, არამედ იმათთვის, ვინც ცდილობს მის გადაქცევას კომინტერნის ფილიალად და დესპოტიურ საბჭოთა ხელისუფლების მაჩანჩალად.

ივ—მე.

კავკასიის კონფედერაციის კითხვების ირგვლივ

(საგულისხმო პარალელები)

2.

ვერც სომხის მოღვაწენი და ვერც სხვა ვინმე უარს ვერა ჰყოფენ, რომ უკანასკნელმა დიდი ომის ამბებმა და რუსეთის რევოლუციამ კავკასიის ერებს შორის შექმნეს მთელი რიგი ახალი, იმედის მომცემი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ვითარებანი, რომელთაც საბოლოო ჩამოყალიბებული სახე დღესაც არ მიუღიათ და კვლავ განიცდიან დადებითი ხასიათის ევოლუციას. ეს ევოლუცია, ბუნებრივად, მიდის იმ მიმართულებით, რომ კავკასიელთა ურთიერთობა ღებულობს უფრო გამორკვეულს და მეგობრულს სახეს, მიდის მათი აუტილებელი დასკვნებისკენ, რის საჭიროებას უკარნახებს მთელი მათი წარსული ცხოვრება. მთელი საუკუნეები განვლეს კავკასიის ერებმა განშორებაში და ხშირად ძიძგვა-კინკლაობაში, იყო ხოლმე პერიოდები დაახლოვებისაც... ყველა ეს მაშინ, თითქოს, სტიქიურად და ქაოტიურად ხდებოდა: სტიქიურად ხდებოდა ზოგის დაკავშირება, სტიქიურადვე ერთმანეთში აშლა და სისხლის ღვრა... ერთის სიტყვით კავკასიაში ხდებოდა ის, რასაც ადგილი ბევრ სხვა ქვეყნებშიც ჰქონია და სადაც ბოლოს და ბოლოს, შემდეგ ჩადენილი შეცდომების შეგნებისა, მიმხვდარან, რომ მათი საარსებო ინტერესები მოითხოვენ კეთილმეზობლურ განწყობილების ჩამოგდებას.

ერთობ დიდი მანძილის გავლა მოუხდათ ხალხებს, მანამ იმ გამოსავალს მიაგნებდენ, რომელიც უკეთესად დაიცავდა მათ ნაციონალურ მისწრაფებებს.

არაფერი გასაკვირველი არ არის იმაში, რომ ახალი მეთოდების მოხმარება ყველგან, სულპირველად, საკუთარი დამოუკიდებლობის განმტკიცებით ხდებოდა იქ, სადაც იგი უკვე არსებობდა, ან და ამ დამოუკიდებლობის აღდგენის ცდით, სადაც ისტორიის კაპრიზების მეოხებით იგი დაკარგოდათ. ნუ გამოუდგებით ძალიან შორი ამბების ძიებას და დავკმაყოფილდეთ იმ ისტორიის გახსენებით, რომელიც, ასე ვსთქვათ, ჩვენი თვალების წინ გადაიშალა.

აგერ ბალკანეთის ერები: ძნელია სხვა უფრო თვალსაჩინო მაგალითების მოძებნა იმ ევოლუციის მსვლელობისა, რომელმაც ეს გუშინდელი ყმა-მონები თანდათან დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გადააქცია. დღეს ჩვენ მოწმენი ვხდებით ამ სახელმწიფოთა შორის დიდებული აქტის დადების. დეე. ეს აქტი არ იყოს ჯერ მათი მჭიდროდ შეკავშირება, რის მიღწევა ერთბაშად, თქმა არ უნდა, იოლი საქმე არაა. მაგრამ ასეთი დაკავშირება სავსებით მოსალოდნელია, რადგან იქ ეხლა ყველაა მიიხვდარი, რომ მათი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად, საჭიროა მათი დაკავშირება.

მოკლედ რომ ვსთქვათ, ბალკანეთის ერების ისტორია ხომ ეს არის: ხანგრძლივი მონობა უცხო ძალების უღელს ქვეშ; დამოუკიდებლობის აღდგენა და მისი იარაღით დაცვა; დროგამოშვებით. ძირითადი ინტერესების ცუდად გაგებით, მეზობელი, და ხშირად მონათესავე ერები, ერთმანეთს იარაღით ეცემიან; ამას მოჰყვება შემცდარი ნაბიჯების უკუგდება, შემდეგ, თანდათან, მზადდება პროცესი ამ გუშინდელი მოქიშპეების დაახლოვებისა, რომელიც ალბად მოთავდება მათი მჭიდრო შეკავშირებით. უკუაგდეს რა უცხო ბატონობა, ბალკანეთის ერები სულ პირველად დაჯგუფდენ ცალცალკე სახელ-

მწიფოებად; განშორებაში მყოფნი ეხლა იძიებენ დაახლოვების გზებს, ისე კი რომ კვლავ სრულებით დამოუკიდებელნი დარჩნენ.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ასეთი სვლა, ისტორიის უბრალო თამაში იყოს. პირიქით, იგი სახელმძღვანელოდ არის ნაკარნახევი ყველა იმ ერებისათვის, ვისაც მონობა და დაპყრობა გაუცდია.

სწორედ ასეთ სახელმძღვანელოდ უნდა იყოს მიღებული იგი იმ ევოლუციის პროცესშიც, რომელსაც განიცდიან ამ ჟამად კავკასიის ეროვნებანი.

ძალიან საწყენია, რომ უცხო ქვეყნების მიერ ასე განვლილი გზები არას ეუბნება კავკასიის ერების მტერ-მოყვარეთ. მაგრამ უფრო კი საწყენი ის არის, რომ ზოგიერთი სომხის პუბლიცისტებიც ამ გზას დასდგომიან და ისინი არც კონფედერაციის შესაძლებლობას იწამებენ და არც ცალკე კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას.

გავეცნოთ მათ არგუმენტაციას ამ საგნის შესახებ.

ამ რამდენიმე წლის წინად, ბ-ნ კერენსკის გაზეთ «დნი»-ში, მოთავსებული იყო წერილი ბ-ნ ხონთქარიანისა, სადაც ერთად იყო თავმოყრილი ყველა ის, რაც, მისი აზრით, შეუძლებლად ხდის კავკასიის ერების პოლიტიკურად დაახლოვებას. წერილს თავში ასეთი სათაური აქვს: «საქართველოს დამოუკიდებლობა და კავკასიის კონფედერაცია». ჩვენის რწმენით იმ არგუმენტაციაში, რომელსაც ავტორი გაუტაცნია, სრულებით არ არის, რაც კავკასიის ერების დაახლოება-დაკავშირების შეუძლებლობას ამტკიცებდეს.

აბა რა ფასი აქვს, მაგალითად ასეთს, მის განცხადებებს:

«საზარელი მუზიკა... სწორეთ მაშინ დაიწყება, როდესაც რუსეთის ჯარი დასტოვებს კავკასიას... ასე ვფიქრობთ იმიტომ, რომ ერთხელ უკვე ვიყავით მოწამე იმ სამარცხვინო ამბის, როდესაც ოსმალეთის ჯარიც კი იკავებდა მშვიდობიანად სომხეთის და საქართველოს სოციალისტურ მთავრობებს. და შემდეგ, როდესაც ეს საოკუპაციო ჯარი გავიდა ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებიდან, მეორე დღესვე ატყდა ომი სომხეთსა და საქართველოს შორის, სწორედ იმ განთავისუფლებულ ტერიტორიის გამო...»

აქ უალაგო იქნება იმ ომის ნამდვილი ისტორიის მოყვანა, მაგრამ ერთის წამით წარმოვიდგინოთ, რომ იგი სწორედ ისე მოხდა, როგორც ბ-ნი ხონთქარიანი აგვიწერს, მერე და რაო! განა ეს გამოდგება არგუმენტად, რომ ჩვენს შორის მორიგება და მშვიდობიანობის ჩამოგდება შეუძლებელი გამხდარა? განა ცოტაა მაგალითი, რომ სახელმწიფოებს ერთმანეთში უომნიათ, მაგრამ შემდეგში მშვიდობა და კეთილი განწყობილება ჩამოვარდნილა? დიდი ხანია ქართველი ერი თავის მეზობლებს აძლევს წინადადებას, რომ ყოველი დავა და კითხვა ჩვენ შორის გარჩეული და გადაწყვეტილი იყოს მოლაპარაკებით და ან არბიტრაჟით. რა უშლის სომხებს მიიღონ ქართველების ეს წინადადება? ამჟამად მთელი ქვეყნიერება ცდილობს ასეთ გზას დაადგეს. იგი უფრო მალეც მოგვარიგებდა და თავიდანაც აგვაცდენდა, მართლაც-და, სამარცხვინო ომს ორ მეზობელ და მოძმე ერს შორის.

ერთი სცადოს ბ-ნ ხონთქარიანმა მისი არგუმენტებით დაჯეროს, მაგალითად, ბალკანეთის ერები, რომ კვლავ დაემონავონ ოსმალეთს, რადგან ერთ დროს—«ოსმალეთის ჯარიც კი იკავებდა მათ ერთმანეთში ომის ატეხისაგან». ეცადოს დაარწმუნოს უნგრეთი, რომ კვლავ გაითქვიფოს ჰაბსბურგების ავსტრიის იმპერიაში, რადგან ფრანც-იოსების ჯარებიც კი აკავებდა ამ ორ სახელმწიფოს ომის ატეხისაგან. და აი უნგრეთმა აღადგინა თუ არა თავისი დამოუკიდებლობა, მეორე დღესვე დაიწყო ავსტრიისა და უნგრეთის შორის ცხარე ომი, რამაც მთელი ორი კვირა გასტანა იმის შემდეგ, როცა დიდი ომი გათავებული იყო.

აქაოდა, ვაი თუ ომი ამიტეხონო, ამით უნგრეთი უკან არ დამდგარა და თავის დამოუკიდებლობაზე უარი არ განუცხადებია. ავსტრო-უნგრეთი დაშორდნენ ერთმანეთს, იომეს კიდეც (რასაკვირველია სჯობდა ეს არ მოსვლოდათ) და აი გუშინდელი მტრები დღეს რაღაცა გზებს ეძებენ, რომ დამოუკიდებელნიც დარჩენ და ერთმანეთშიც მორიგდენ...

ბევრ ასეთ მაგალითს სხვაგანაც ვხედავთ: შორდებიან დამოუკიდებლობის და თავისუფლების დიდებული იდეის გასახორციელებლად; კვლავ ჯგუფდებიან, სწორედ, ამ თავისუფლების განსამტკიცებლად...

კავკასიის ერების წინაშე სულ პირველად სდგას საკითხი: სურთ მათ თუ არა დამოუკიდებელ რესპუბლიკების ფორმებში ჩამოყალიბება? როდესაც ეს ძირითადი კითხვა გადაწყვეტილი ექნებათ, მაშინ სულ ადვილად გამოჩნდება ის გზა, რომელიც კავკასიის ერებს მოარიგებს ყველა კითხვებში.

ბ-ნ ხონთქარიანის ზოგიერთი სიტყვები გაფიქრებინებთ, რომ მას პირადად, მაინცდამაინც, დიდად არ აინტერესებს გახდეს შვილი, უთუოდ, დამოუკიდებელი სომხეთისა. აქა-იქ იგი, თითქოს, დასცინის კიდეც «დობლესტნიხ სინოვ კავკაზა» იმ «აკვიატებული («ნავიაზჩივაია») იდეისათვის, რომ უთუოდ დამოუკიდებელნი დარჩნენ... თუ მართლა და ასეთია მისი განწყობილება, აბა რით უნდა ვუშველოთ მას: თუ ვისმე არა სურს იყოს თავისუფალი სამშობლოს შვილი, იქ ჩვენ ვერას გავაწყობთ. განა ცხოვრების სინამდვილემ არ იცის მაგალითები, როდესაც საპყრობილიდან გამოშვებული ტუსაღი თხოულობს კვლავ ციხეში დამამწყვდიეთო... საბედნიეროდ თვით სომხის ერი სულ სხვაფრივ უყურებს საქმეს. იმ უბედურ ხნიდან, როცა მან მე-XI საუკუნეში დამოუკიდებლობა დაკარგა, მას არასოდეს არ აუღია ხელი თავისი თავისუფლების აღდგენაზედ. თვით პატივცემული ავტორი მოწმობს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმათავისუფლებელ ბრძოლებში სომხებმა მსხვერპლად მიიტანეს ერთი მილიონი თავისი მოსახლეობისა და განა ეს იმას არ გვეუბნება, რომ სომხობას არასოდეს არ დაუგდია ძველი გზა და ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ?!..

წერილის ერთს ალაგას ბ-ნი ხონთქარიანი ქართველებს თითქო გვამტყუნებს, რომ სწორედ ჩვენი აჩქარებით, რომ არა ვსთქვათ, მეტიჩრობით, მოხდა რუსეთისაგან ჩამოცილება, თორემაო სომხებს აზრათაც არ მოგვივიდოდა რუსეთის წინაამდეგ ერევნიდან ერთი სალდათის გაგზავნაცაო. ადამიანი ერთბაშად ვერ მიხვდება, რა სურდა ავტორს ეთქვა ამ წინადადებით. ქართველები არასოდეს ვმალავთ და ხმამაღლა და საჯაროთ აღვიარებთ, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის დასაცავად არაფრის წინაშე თავს არ მოვიხრით. ამას არ ვუმალავთ არც რუსებს და არც სხვებს, ვინც კი ჩვენს დამონავებას მოიწადინებს. ომს არავის ვუცხადებთ, მაგრამ არც ჩვენ კერას დავანებებთ ვისმე. ბ-ნი ხონთქარიანი ორს დიდ დაბრკოლებაზე გვითითებს, რომელიც, მისი რწმენით, სომხების კონფედერაციაში შესვლას შეუძლებლად ხდის.

პირველი დაბრკოლება ყოფილა არა მეგობრული დამოკიდებულობა ქართველებისა სომხებისადმი. მეორე კი შეუძლებლობა სომხებისათვის საგარეო პოლიტიკურ კითხვებში საერთო ენა გამონახონ კავკასიის სხვა ერებთან. თურმე სომხები შეურიგებელი მტრები ყოფილან ოსმალეთისა და, ასე ვსთქვათ, უანგარო მეგობრები რუსეთისა. კავკასიის სხვა ერები კი არიან რუსეთის დაუძინებელი მტრები და მოყვრები ოსმალეთისა.

გავერკვიოთ ამ დებულებებში.

სომეხ-ქართველების არამეგობრულად განწყობილი დამოკიდებულება! გულახდით უნდა აღვიაროთ, რომ ასეთი განცხადება ახალიც არის და მოულოდნელიც.

აქამდინ ყველას ის გვესმოდა, რომ მტრობა და ერთმანეთის ხოცვა-ყლეტა მხოლოდ სომხებსა და თათრებს შორის ხდებოდა; გვსმენია ისიც, რომ მეზობლების ამ უბედურ შეტაკების დროს ქართველები მათ მომარიგებელ როლში გამოდიოდენ. არა ერთი და ორი ასეული სომხის ოჯახი გადაურჩენიათ ქართველებს იმ სისხლის ღვრის დროს, ხშირად თავიანთი თავის განსაცდელში ჩაყენებით. ამნაირი ამბების შემდეგ ვინ დაიჯერებს, რომ ქართველები სომხებს მტრულად უყურებენ?

(შემდეგი იქნება)

გიორგი ყურული.

წყნარ ოკეანეს პრობლემა

X

მოსკოვისთვის დიპლომატიურ სამზარეულოში ცხვირის შეყოფა, ამ სამზარეულოში კავშირების გამოცხობა, მთავარ საზრუნავ საგნად გადაიქცა. დღევანდელ კრემლმა პეტრე დიდის სიტყვები გაიხსენა: თუ ევროპა დაგვჭირდა, გამოვიყენოთო.

რუსეთს არასოდეს ევროპა ისე არ დასჭირებია, როგორც დღევანდელ მეტად გართულებულ საერთაშორისო პირობებში ესაჭიროება. მან წყნარ ოკეანეს ნაპირებზე მთელი რიგი და მასთან მეტად მნიშვნელოვანი პოზიციები დაჰკარგა; ზოგი პოზიციაც დასაკარგადაა გამზადებული. მოსკოვი ცდილობს ამ დარჩენილი პოზიციების შენარჩუნებას და სადაც მისწვდება, ატლანტიკის, ინდოეთის, თუ წყნარ ოკეანეს ნაპირებზე ახალი პოზიციების მოპოვებას.

შორეულ აღმოსავლეთში ომის მოლოდინში, ატლანტიკის ნაპირებზე ზურგი უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, მოკავშირე თუ მოკავშირეთა ჯგუფი მოსკოვის გვერდით გამოჭიმული. აქეთკენაა დღეს დღეობით მისი მთავარი ყურადღება მიმართული.

ერთ დროს საბჭოთა რუსეთი ატლანტიკის ნაპირებს ასაფეთქებლად მიადგა და კომინტერნის საშუალებით ევროპის მუშებს ბურჟუაზიულ წყობილების წინაამდეგ ასაჯანყებლად იწვევდა. სასურველ შედეგებს ვერ მიაღწია, იქ, რის დაპატრონებას ლამობდა, სხვები გაბატონდენ. მას შემდეგ ფერი იცვალა, მთავარი ამოცანა მოკლე ხნით ჩრდილს შეაფარა და მესამე ინტერნაციონალს შესასრულებლად ახალი ამოცანა წამოუგორა: მან მეორე ინტერნაციონალი გვერდში უნდა ამოიყენოს და ორთავემ ერთად ევროპის საზოგადოებრივი აზრი მოსკოვის სასარგებლოთ აამუშაონ. ისედაც დაბნეული ევროპის ერთი ნაწილი უკვე გაყვირის: მოსკოვისებური ბატკანი ღმერთს არ გაუჩენია და ვისაც ომი არ გსურს, კრემლს ეამბორეო.

თუ კომინტერნი ევროპაში რუსეთის სასარგებლოთ საზოგადოებრივ აზრს ამუშავებს, მოსკოვის დიპლომატია საბჭოებს ატლანტიკის ნაპირებზე მოკავშირეებს უძებნის.

ოდესღაც წყნარ ოკეანეს ნაპირებისკენ მაცქერალი ჩიჩერინი, ატლანტიკისკენ მაყურებელ ლიტვინოვმა შესცვალა. ევროპაში მოკავშირეთა შოვნა მოსკოვისთვის მით უფრო საჭირო გახდა, რომ შორეულ აღმოსავლეთის საფრთხეს, ევროპის შუაგულ, ვერსალის ხელშეკრულობით დაბორკილ გერმანიის საფრთხე თან წაემატა. დღევანდელ გერმანიის მიზანია რუსეთის დასუსტება-დანაწილება. რეიხენგალის ყრილობის დროდან ჰიტლერი და მისი თანამშრომელნი რუსეთის დასუსტების პლანით სულდგმულობენ. ამ ყრილობის ხანაში, ნაციონალ-სოციალისტური პარტია, აკვნიდან ახალი ამოსული იყო, საკუთარ ფეხებზე ძლივსღა დგებოდა. დრომ განკვლო. ნაციონალ-სოციალისტური პარტია სახელმწიფოს მთავარ ფაქტორად გადაიქცა და გერმანიის სა-

ფრთხეც მოსკოვის მიმართ გადიდდა. შორეულ აღმოსავლეთში რუსეთ-იაპონიის შორის გამწვავებულ დამოკიდებულებამ და ევროპაში, გერმანიის ჩიხში მოქცევამ, გერმანია-იაპონია ერთმანეთს გადაადა, პოლიტიკურ, ეკონომიურ თუ სამხედრო ასპარეზზე მათი თანამშრომლობა უდაო გახადა. რუსეთმა ატლანტიკის ნაპირებზე ზურგის უზრუნველ საყოფად ათეული პაქტები დასდო და ერთა ლიგაშიც. ამ ბურჟუების, როგორც მოსკოვში უყვარდათ ლაპარაკი, საროსკიპოში მოეწყო.

ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები დიდი ხნიდან უარყოფენ წყნარ ოკეანეს ნაპირებზე იაპონიასთან კონტროლის დაყოფას. ხოლო ჩრდილო ამერიკის აზიის ნაპირებამდე სიშორე, საეგებოთ ჰხდის მის ბატონობას ამ ნაპირებზე. ამერიკის სამხედრო ფლოტის უახლოესი ბაზა წყნარ ოკეანეზე, გონოლულუა, იაპონიის ზღვამდე მისაცურავად ხუთიდან შვიდ ათასამდე მილი უნდა გადალახოს, ერთი თვე გზას მოანდომოს. შორეულ გზით მიცურულ სამხედრო გემების მდგომარეობა, ომის დროს, სხვის ზღვებში, დიდი სანატრელი როდია. არც ისე დიდ დროს გაუვლია, რომ შეერთებულ შტატებს რუსეთ-იაპონიის ომი დავიწყებული ჰქონდეს და ამ ომის დროის მთავარი ეპიზოდი—ცუსიმის ბრძოლები—მას არ ახსოვდეს. რასაკვირველია, ამერიკის სამხედრო ფლოტი, რუსეთის დამპალი კიდობანები როდია, რომელნიც რუსეთ-იაპონიის ხელჩართულ ომის დროს, თავიდანვე განწირულნი, შორეულ აღმოსავლეთისაკენ ძლივს-ძლივობით მიგორავდნენ. ამერიკამ თავის სამხედრო ფლოტს ტექნიკის უკანასკნელი სული ჩაბერა. დიდი ომის გამოცდილებამ, ზღვაზე საომარი ახალი მეთოდების გამოყენება შეათვისებინა. ეს ფლოტი მოქნილი და მეტად ძლიერია, როგორც ამას 1934 და 1935 წლების საზღვაოსნო აღლუმები ადასტურებენ. ხოლო ამერიკის ფლოტის მთავარი ბაზის დიდი სიშორე აზიის ნაპირებამდე, იაპონიის ფლოტს უპირატესობას აძლევს, თუ ამ ორ სახელმწიფოთა შორის ომი მოხდა. წყნარ ოკეანეზე ბატონობის შესანარჩუნებლად ამერიკა ცდილობდა ვაშინგტონის კონფერენციიდან მოყოლებული ან ინგლისის ან საფრანგეთის ან ორთავესი ერთად საზღვაო სიძლიერეს დაყრდნობოდა. ხოლო იმავ ვაშინგტონის კონფერენციიდან მოყოლებული, სამხედრო სპეციალისტები შეერთებულ შტატების მთავრობას ურჩევდენ, წყნარ ოკეანეს ნაპირებზე ბატონობის შესანარჩუნებლად არა საეჭვო ალბიონს, ან კიდევ უფრო საეჭვო საფრანგეთს, არამედ ძლიერ რუსეთს უნდა დაუმეგობრდე და იაპონიის წინააღდეგ ბრძოლაში, მოსკოვი უნდა გამოიყენოვო. სპეციალისტთა რჩევისთვის შეერთებულ შტატებს ერთხელაც არ უღალატნია. სანამ საბჭოთა რუსეთი სუსტი იყო, მის გაძლიერებას წყნარ ოკეანეს ნაპირებზე ხელს უწყობდა. ამერიკის დიპლომატია მთელი უკანასკნელი წლები წინააღდეგი იყო იაპონიასთან ყოველგვარი შეთანხმებისა წყნარ ოკეანეს ნაპირების საკითხებში, თუ წინასწარ მოსალაპარაკებლად არ იქნებოდა საბჭოთა რუსეთი მოწვეული.

იაპონიის მოთხოვნილებამ, რათა გაუქმებულ იქნას საზღვაო ხელშეკრულება 1922 წელს ვაშინგტონში და 1930 წელს ლონდონში დადებული, პრეზიდენტი რუზველტი აიძულა ლიტვინოვი ვაშინგტონში მოეწვია და მასთან ერთად, შორეულ აღმოსავლეთში საერთო სამოქმედო გეგმა გამოემუშავებინა. იაპონიის მხრივ ზღვაზე თანასწორობის მოთხოვნილებამ შეერთებული შტატები აიძულა 48 სამხედრო გემიც ატლანტიკის ოკეანედან, წყნარ ოკეანეზე გადაიყვანა.

ზოგი რამ, რის შესახებაც ჰქონდათ ლაპარაკი რუზველტ-ლიტვინოვს ვაშინგტონში და რა დიპლომატიური შეთანხმება მოხდა მათ შორის, არავინ უწყის. დიპლომატიაც იმისთვის არსებობს, რომ მისი ნამოქმედარი სინათლეზე არ გამოცოცდეს. ხოლო რაც უდავოა, ეს ლიტვინოვის მიერ, პრაქტიკულ ამერიკელებისთვის პრაქტიკული დაპირებების მიცემა. რადგან დაპირებები დაპირებებად დარჩა, პრაქტიკული ამერიკაც აყიყინდა და მეტად ძვირ დიპლომატიურ წარმომადგენლობის მოხსნას მოითხოვს მოსკოვიდან.

შეერთებული შტატების ეკონომიური სიძნელეები, ამ ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრის ახმაურება რუსეთის წინააღმდეგ და უკანასკნელი ლონდონის საზღვაო მოლაპარაკება, როცა გამოირკვა, რომ დიდი ბრიტანეთი დათმობის გზას დაადგა იაპონიის მიმართ და უარყოფს მხარი დაუჭიროს არსებულ საზღვაო ხელშეკრულებას, ყოველივე ეს მეტად მოხერხებულად გამოიყენა იაპონიამ. დამთავრდა რა იაპონიის ზღვების მახლობლად, შეერთებულ შტატების სამხედრო ძალების აღლუმები, რომლის მსგავსი წყნარ ოკეანეს არ უნახავს, და ამერიკის გემები დაუბრუნდა რა თავის ბაზებს,—იაპონიამ ამის შიდა მონგოლიაში—ჩახარის და ჩინეთში—აღმოსავლეთ ჩინეთის ოკუპაციით უპასუხა.

ჩახარის ოკუპაცია ნიშნავს იმ უკანასკნელი ძაფების გაწყვეტას, რომელნიც აერთებდა რუსეთს ჩინეთთან. მისი ოკუპაციით ბოლო ეღება ჩინეთის წითელ არმიელთა კომინტერნის მიერ ლეგალურად იდეურ და მატერიალურ კვებას. ამავე დროს იაპონიას გზა ეხსნება გარეშე მონგოლიასა და მისი სატახტო ქალაქ ულან-ბატირისაკენ (ურგა).

ჩინეთის აღმოსავლეთ პროვინციების დაჭერით იაპონია აძლიერებს თავის პოლიტიკას, ჩინეთი სათანამშრომლოთ ჩაითრიოს აღმოსავლეთ აზიის საკანტროლოთ. მართლაც, რომ წყნარ ოკეანეს ნაპირებზე მოვლენანი ვითარდებიან უფრო ჩქარის ნაბიჯით, ვინემ ეს მოსალოდნელი იყო.

უკანასკნელი ამბები, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში მოხდა, იმის მაჩვენებელია, რომ არა მარტო რუსეთის, შეერთებულ შტატების მდგომარეობაც ძალზე შეილახა. შეერთებულ შტატების კანტროლი წყნარ ოკეანეზე ხდება ეფემერული, ბოლო ეღება. შესცვლის თავის დამოკიდებულებას ამერიკა იაპონიის მიმართ, დაადგება მასთან შეთანხმების გზას? ჯერ ჯეროობით ამის თქმა ძნელია. ხოლო თუ ეს მოხდა, მაშინ ვაშინგტონ-მოსკოვის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრების საკითხი მეტად საეგებიო შეიქნება და შესაძლოა მათ დამოკიდებულებაში ბევრი რამ მოულოდნელი მოსალოდნელად გადაიქცეს.

ერთ დროს ამერიკამ იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში მონროეს დოქტრინა გადმოაგორა; ამერიკა-ამერიკელებსო. იაპონია შეერთებულ შტატებს ლოზუნგში არ ჩამორჩა; ორ ოკეანეთა შუა მობანავე შეერთებულ შტატებმა პასუხად მიიღო: აზია—აზიელებსო. აზია-აზიელებს, თანდათან აზიის ლოზუნგად ხდება.

ი. სალაყაია.

უცხოეთის მიმოხილვა

ერთა ლიგის კრიზისი.

«Morning Post» სწერს ერთ თავის მეთაურში, რომ პაციფისტები ქადაგებენ ზავს და ომისაკენ კი მივყევართო! მართლაც, ევროპის მემარცხენე პრესა, მეორე და მესამე ინტერნაციონალი, ჩაფლულნი ფაშიზმთან ბრძოლაში, ვერ ამჩნევენ, რომ მათ ტაქტიკას შეუძლია საერთაშორისო ხანძარი გამოიწვიოს, რაიცა ასე ხელსაყრელია მოსკოვისთვის, და ამას არც კი მალვენ მისი დელეგატები ჟენევაში, რომელთაც საიდუმლო კავშირი აქვთ ყველა ქვეყნის ურა-რევოლუციონერებთან და უჩიჩინებენ მათ, რომ დუჩეს დაცემა ფიურერის დაცემით დამთავრდებაო. მემარჯვენენი, თავის მხრით, გააფთრებულათ იცავენ იტალიის ექსპანსიის «კანონიერებას» და ამისათვის მზად არიან ზვარაკად მიიტანონ ნეგუსის ეთიოპია და მისი «ველურნი» ქვეშევრდომნი.

საშინაო და საგარეო პოლიტიკის ეს არევდარევა მეტათ აძნელებს ერთა ლიგის წინაშე დასმულ მძიმე ამოცანის სწორ გაგებას და პირუთვნელ დაფასებას. როცა ამ სტრიქონებს ვწერთ, ჯერ კიდევ არ ვიცით, როგორ მსვლელობას მიიღებს ამბები, გავარდება თუ არა ომი აღმოსავლეთ აფრიკაში, მოყვება თუ არა მას ომი ხმელთა შუა ზღვაზედ ინგლისსა და იტალიას შორის, რას იქს საფრანგეთი, სხვა სახელმწიფოები, როგორ შეხვდება გერმანია ომს ყოფილ მოკავშირეთა შორის, ერთი სიტყვით, შესძლებს თუ არა ერთა ლიგა თავის მოვალეობის პირნათლათ შესრულებას, ე. ი. იხსნის თუ არა ზავს.

ხალასი ჟეშმარიტება ღაღადებდა ინგლისის საგარეო მინისტრის სერ სამუელ ჰორის პირიდან, როცა მან სთქვა თავის ისტორიულ სიტყვაში: ერთა ლიგა არის, რასაც მისი წევრები მოისურვებენო. მას არ გააჩნია არავითარი .უზენაესობა, თავის ნებით ვერ გადასჭრის ვერც ერთ კითხვას, ვერავის დააძალებს თავის ნებას, არა ჰყავს შეიარაღებული ძალა. ამიტომ სრულიად უსაფუძვლოა ის გალაშქრება, რომლის ობიექტად ხშირად ერთა ლიგა ხდება, თითქო მისგან იყოს ომი და ზავი დამოკიდებული და ის კი ყოველ ნაბიჯზედ მხოლოდ უძლურებას იჩენდეს.

სერ სამუელ ჰორის სიტყვას ჩვენ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ესაა არა ყველა წევრები, არამედ დიდი სახელმწიფოები, რომელნიც იქითკენ გამოაბამენ ყურს ერთა ლიგას, საითკენაც თვითონ მოისურვებენ. ამით აიხსნება, მაგალითად, ის უმაგალითო ფაქტი, რომ შარშან მათ დაუშვეს მოსკოვი—ნამდვილი სიმბოლო საერთაშორისო და სამოქალაქო ომებისა—ერთა ლიგის წიაღში და საქართველოს წინაშე აღებული ვალდებულება სრულიად დაივიწყეს. ჩვენ, ქართველნი, ძალიან აღვშფოთდით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, წონასწორობა დავკარგოთ და ცხენის მაგიერ უნაგირს მოვურთოთ.

დასაწყისში, როცა იტალია-აბისინიის დავა დაისვა ჟენევაში, სახელმწიფო-წევრნი სულაც არ ღელავდენ და იგი ერთი კალმის მოსმით ჩამოაცილეს ლიგას! ასე მოისურვეს «დიდებმა»: ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ, რომელნიც ირგვლივ შემოჯდომიან «მეფეთა მეფის» სამფლობელოს და ათასგვარი პირობები აქვთ დადებული ურთიერთ შორის, რასაკვირველია, თვით აბისინიის წარმომადგენელის დაუსწრებლათ. მართლაც, დავის გადაჭრა შეეძლოთ მხოლოდ სამ «დიდს», სკადეს კიდეც რომში, პარიზში, ლონდონში და ვერ მორიგდენ. და აი, სწორეთ მაშინ მოაგონდათ ისევ ჟენევა, აბისინია ხომ ერთა ლიგის «სწორუფლებიანი» წევრია, დეე დავა მან გადასჭრასო.

ჟენევაშიც, რა თქმა უნდა, ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რას იტყოდენ «დიდების» წარმომადგენელნი. ჩვენ უკვე ვუწოდეთ «ისტორიული» სერ სამუელ ჰორის სიტყვას. რატომ? იმიტომ, რომ ინგლისი არც ერთხელ არ გამოსულა ლიგის პაქტის ასე თავგამოდებულ დამცველად: ომისა და ზავის კითხვაში ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ და მარტო პაქტით და, თუ ერთი რომელიმე წევრი გადაუხვევს მის მუხლებს, ყველა დანარჩენ წევრებმა უნდა მივიღოთ ზომები მის წინააღმდეგ კოლექტივურათო—ამბობდა ის. მეტათ ძნელი იყო პიერ ლავალის მდგომარეობა, რადგან ის პირველი მოურიგდა მუსოლინს რომში, გასულ იანვარს, და ბოლო მოუღო იტალია-საფრანგეთის მწვავე დავას აფრიკის სხვა კუთხეებში,—როგორ შეეძლო მას ასე კატეგორიულათ დაეცვა პაქტის ხელუხლებლობა და, მაშასადამე, იტალიის გაწყინება? მიუხედავათ ამისა, ლავალმა ვერ შესძლო საფრანგეთის ტრადიციულ პოლიტიკის გადახვევა ლიგის მიმართ და ურეზერვოთ თავის ინგლისელ კოლეგას მიემხრო. რაც შეეხება იტალიას, მან წარმოადგინა ვრცელი მემუარი იმის შესახებ, რომ ნეგუსი არღვევს მასთან დადებულ პირობებს. მისი სამფლობელო ყოველნაირ ველურობის სამშობლოა, საპიროა, იტალიამ, რომლის ექსპანსია ყველას მიერ ცნობილია, თავის ხელისუფლებას დაუქვემდებაროს ეს ქვეყანა და იქ თავისი «ცივილიზატორული» მისსია პირნათლათ შეასრულოსო.

და ამას მოყვა გაუთავებელი დეკლარაციები სხვა დელეგატებისა ლიგის ყრილობაზე. ყველა მათი დედა-აზრი იყო საზეიმო დასტური იმისა, რაც ჰორ-

მა და ლავალმა სთქვეს. მაშ რა შეეძლოთ მცირე სახელმწიფოთა დელეგატებს, თუ არა ლიგის პაქტის დაცვა, ეგ ხომ ერთ-ერთი სუსტი იარაღია მათი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფელად? «დიდებიდან» მოსკოვის დელეგატმა, რა თქმა უნდა, მხურვალეთ დაიცვა პაქტი, რადგან კოლექტიური დახმარება მცირე სახელმწიფოთა ნაკლებ არ ეჭივრება ხმელეთის მეექვსედს. მწარე ღიმილს გვრიდა, მეორეს მხრით, საბჭოთა არარუს ერთა წარმომადგენელთ, ლიტვინოვის მიერ აბისინიის და საზოგადოთ «მცირე ერთა გამოსარჩლება». მათ არ ჰქონდათ საშუალება გამოეთქვათ თავისი აზრი ამ საგანზე, ცალკე ნოტაში ამხილეს იგი და დაურიგეს ყველა დელეგატებს.

პარალელურათ ხუთთა კომისია, ლიგის საბჭოს მინდობილებით, შესათანხმებელ გეგმას იმუშავებდა, რომელიც კიდეც გადაეცა იტალიის და აბისინიის მთავრობათ. ეს გეგმა არსებითათ იმეორებს ინგლის-საფრანგეთის დათმობებს პარიზის სამთა კონფერენციაზე, გასულ თვეს, შეაქვს ზოგიერთი შესწორებანი, მაგრამ აბისინიის უზენაესობას თითქო «ურყევათ» სტოვებს: იტალიას მოეჭრება მოსაზღვრე ადგილები აბისინიის ტერიტორიიდან, აბისინიას ეძლევა წითელ ზღვაზე გასავალი ინგლისის და საფრანგეთის ხარჯზე, ეწყობა აბისინიაში საერთაშორისო ჟანდარმერია და პოლიცია, ინიშნება ნეგუსის კარზე საერთაშორისო მრჩეველნი და სხ.

ხუთთა გეგმა იტალიამ უარყო: არაა საკმარისი, არ უწევს ანგარიშს იტალიის საჭიროებათო, მაგრამ დადგენილების კილოდან გამოსჭვივის თითქო მოლაპარაკების განგრძობისთვის არაა ყველა კარები დახშული. იტალიას აშკარათ არ სურს, რომ არსებულ კონფლიქტზე ერთა ლიგამ გამოიტანოს მსჯავრი. ინგლისი კი ამის წინაამდეგია: ჩვენ საკმაოთ ვითათბირეთ და ვერ მოვრიგდით, ერთა ლიგა უკანასკნელი ინსტანციაა, დეე მან გადასჭრას დავაო. დარჩა საფრანგეთი, რომელმაც უნდა იკისროს შუამავალის როლი, ლავალი სწორეთ ამ ჭაპანს ეწეოდა და ჯერ ვერაფერს მიაღწია.

ამასობაში ინგლისის თითქმის მთელი ფლოტი ხმელთაშუა ზღვაზედაა დაბანაკებული, გიბრალტარი ჩაკეტა და სუეცის არხის ჩაკეტვასაც ლამობს, რაიცა მოასწავებს იტალიის მოწყვეტას აფრიკაში გაგზავნილ 200.000 ჯარისგან და სურსათის თუ ამუნიციის მიღებას ატლანტიკის გზით. ნიშნავს თუ არა ეს საომარ შეტაკებას ორ «მოკავშირე» სახელმწიფოისა? არავინ იცის! ინგლისიდან მოისმის, ჩვენ ერთა ლიგის განკარგულებაში ვართ, როგორც ის გადასჭრის, ისე მოვიქცევითო. მეორეს მხრით, აფრიკაში წვიმების სეზონი დამთავრდა, დაიწყებს თუ არა იტალია აბისინიაზე შეტევას? მისი ჯარები, ამის გარდა, ლიბიის გზით ინგლის-ეგვიპტეს სუდანს უახლოვდებიან!

აი, დაახლოებით მთელი სურათი. რა შეუძლია ერთა ლიგას? ჯერ თითქო არაფერი, სანამ თოფი არ გავარდნილა. მისი საბჭო ალბათ ხუთთა გეგმას ოფიციალურათ დაადასტურებს, შემდეგ შეიძლება თვით ყრილობამ სპეციალური კომისია გამოყოს ამბების სათვალყუროთ და თავის დროზე ჩასარევათ. ჩარევა მოასწავებს სანქციებს თავდამსხმელის წინაამდეგ ეკონომიურ, ფინანსიურ, სამხედრო სახისა, თანახმათ პაქტის მე-16 მუხლისა. ასეთი მძიმე გადაწყვეტილებისათვის საჭიროა ერთსულოვნება, ე. ი. თუ ერთმა წევრმა მისცა ხმა წინაამდეგ, დადგენილება ძალაში ვერ შევა. მაგრამ კიდეც რომ შევიდეს ძალაში, შეასრულებენ თუ არა მას ყველა სახელმწიფოები? მაგრამ ვინც ლიგაში არ შედის: გერმანია, იაპონია, შეერთებული შტატები, განა ესენი მოისურვებენ ლიგის ნებაზე მოიქცენ? აი, მთელი რიგი კითხვებისა, რომელიც ართულებს ისედაც გართულებულ მდგომარეობას.

უკანასკნელათ უნდა ვახსენოთ ორი ცნობა, რომელსაც, თუ გამართლდა, უაღრესი მნიშვნელობა ექნება: 1) ინგლისმა დადებითათ უპასუხა საფრანგეთის შეკითხვას ცენტრალურ ევროპას (ავსტრიის დამოუკიდებლობა) მოსალოდნელ გართულებაშიც ლიგის პაქტს დავემყარებიო; 2) იტალია მზათაა ხუთთა გეგმა მიიღოს, თუ ჟანდარმერიის, პოლიციის და მრჩეველთა უფროსები იტალიელები იქნებიანო. პირველი ცნობა ზურგს უმაგრებს ლიგას, რომ კრიზის თავი დააღწიოს, მეორე კი გამოსავალს იძლევა იტალო-აბისინიის დავის მოჯადოებულ წრიდან.

საქართველოს საკითხი

მშვიდობიანობის ინტერნაციონალურმა საზოგადოებამ გასულ აგვისტოში შემდეგი რეზოლუცია მიიღო:

მშვიდობიანობის ინტერნაციონალურმა საზოგადოებამ, შეკრებილმა ბრიუსელში საერთო კონგრესზე, ერთხმად მოიწონა მისი გენერალური მდივნის მოხსენება საქართველოს შესახებ და აცხადებს, რომ პაციფისტებს არ შეუძლიათ არ იყვენ დაინტერესებულნი ამ ქვეყნის მდგომარეობით განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის ლიგაში მიღების შემდეგ, რაც მოხდა ჩვენ მიერ ლოკარნოში გამოთქმულ სურვილის თანახმად. ამნაირად საზოგადოება არ დასთმობს ამ საკითხის შესახებ მის მიერ აღებულ და წლობით განმტკიცებულ პოზიციას.

მშვიდობიანობის ინტერნაციონალურ ბიუროს ევალება კონგრესის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სასარგებლოთ გადადგას ყოველივე ნაბიჯი მდგომარეობის მიხედვით.

ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებათა ინტერნაციონალური კავშირის დელეგაცია, რომელშიაც შედიოდენ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელნი, 14 სექტემბერს წარუდგა ერთა

ლიგის მე-16 ყრილობის თავმჯდომარეს ბენეშს. დელეგაციაში მონაწილეობას იღებდენ საქართველოს წარმომადგენელი ბ. შავიშვილი და უკრაინის ბ. შულგინი, თავმჯდომარეობდა ბ. ლიმბურგი, ჰოლანდიის მთავრობის დელეგატი ერთა ლიგის ყრილობაზე და ყოფილი თავმჯდომარე ლიგის დამხმარე საზოგადოებათა კავშირის.

ბ. ლიმბურგმა წარუდგინა ერთა ლიგის ყრილობის თავმჯდომარეს რეზოლუციები, კავშირის ყრილობის მიერ მიღებული ბრიუსელში ამ წლის ივნისში, მიაქცია ბენეშის ყურადღება ამ რეზოლუციებზე და თხოვა მათი გამოქვეყნება ერთა ლიგის ოფიციალურ გამოცემაში. ბენეშმა ჩვეულებრივი თავაზიანობით უპასუხა და დაჰპირდა, რომ ყველაფერი შესრულებული იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დელეგაციის მოწყობა და წარდგენა მოხერხდა ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებათა ინტერნაციონალური კავშირის გენერალური მდივნის ბ. რიუსენი'ს ენერგიული მეცადინეობით.

წერილი ამერიკიდან

იტალია ეთიოპიის დამოუკიდებლობის გამწვავებას შეერთებულმა შტატებმა ნეიტრალიტეტის გამოცხადებით უპასუხა. შესაძლებელია, ამით თავი ვერ დაიზღოს და საერთო ფათერაკს ვერ დაახწიოს, მაგრამ ამ დროით უკეთესი გამოსავალი არ ჰქონდა...

გასული აგვისტო, მომეტებულად მისი უკანასკნელი დღეები, კონგრესისა და მთავრობისთვის მეტის მეტად მძიმე და ინტენსიური თვე იყო. კონგრესმა არაჩვეულებრივად გააგრძელა თავის სხდომები, რომელიც საერთოდ მაისში ან ივნისში თავდებოდა, და განიხილა ბევრი საყურადღებო კანონი: აგრიკულტურულ, მრეწველობის, სოციალურ და სხვა დარგებში. ამ მე-74 კონგრესმა ათ მილიარდ დოლარზე მეტი ფული გადასდო საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად...

ფედერატული მთავრობა და მუნიციპალური მართველობანი შეეცადენ უმუშევრების გადაყვანას «შემწეობის წილიდან» (რომელიც უდრიდა საშვალო ოჯახისთვის საერთოდ 12 დოლარს კვირაში) მუნიციპალურ და სახელმწიფო სამუშაოზე...

საგარეო დარგში საყურადღებო მოვლენა მოხდა: საბჭოებისა და შეერთებულ შტატების, ამ «ორ დიდ ერთა მეგობრობას» (რომელიც არასოდეს იყო დამყარებული) ცივი წყალი გადაესხა.

კვირას 25 აგვისტოს შეერთებულ შტატების მთავრობის ელჩმა ვ. ბულლიტმა მისი მთავრობის სახელით პროტესტის ნოტა ჩააბარა საბჭოების საგარეო კომისარის მოადგილეს ნ. კრისტინსკის. ნოტა აბრალებდა საშინაო საქმეებში ჩარევას და საბჭოების საგარეო კომისარ მაქსიმე ლიტვინოვის ხელმოწერილი დაპირების დარღვევას.

ნოტაში ნახმარია ასეთი წინადადება: «მთავრობა შეერთებული შტატებისა მოელის მეტად სერიოზულ შედეგებს, თუ საბჭოების მთავრობას არ უნდა ან არ შუძლია მიიღოს შესაფერი ზომები»...

აქ ნოტას სთვლიან «მაგრად» შედგენილად. მთელმა პრესამ მხარი დაუჭირა მთავრობის ნოტას, რომელიც თვით პრეზიდენტ რუზველტის ნაკარნახებიაო.

ვაშინგტონის სარწმუნო წყაროებიდან ცნობა მოდის, რომ ერთი მიზეზთაგანი პროტესტისა იყო კომუნისტების განცხადება მეშვიდე კონგრესზე (ბულგარელ კომუნისტ დიმიტროვის), რომ კომუნისტების პარტიამ პრეზიდენტ რუზველტს უნდა დაუჭიროს მზარი მომავალ არჩევნებშიო, თორემ თუ ის დამარცხდა, მისი მოწინააღმდეგე ჩვენ ტყავს გაგვაძრობსო.

აქაურ მთავრობას ასე უფიქრია: «გადამარჩინე მეგობრებს—მტერს მე თვითონ მოვერევიო»...

კონგრესის წევრების კომენტარიები მრავალი იყო: «თვიდან შეცდომა იყო საბჭოების ცნობა»-ო; «უნდა გვცოდნოდა, რომ საბჭოების მთავრობის მოქმედება არ განირჩეოდა კომუნისტურ პარტიის მოქმედებიდან»-ო; «ჩვენ სული წავიწყმიდეთ რუსეთთან აღებ-მიცემის მოწყობისთვის, რომელიც ზღაპარი გამოდგაო»; «რამდენად ადრე გავეყრებით საბჭოებს, იმდენად უკეთესი იქნება»-ო და სხვა.

ცნობილ სენატორმა ვ. ბორამ და ჯანსონმა, ვინც რუსეთის ცნობის მომხრენი იყვნენ, ახლა უარი განაცხადეს თავის აზრის გამოთქმაზეო.

«ნიუორკის ტაიმსი» თავის მოწინავე წერილში 26 აგვისტოს ამბობს: «საბჭოების მთავრობამ მიიღო ჩვენგან ცნობა მხოლოდ იმ პირობით, რომ შეწყვეტდენ ყოველგვარ პროპაგანდას ჩვენ წინააღმდეგ. მაგრამ საბჭოების მთავრობის დაპირებები საერთოდ ისე სანდოა როგორც ქვიშის თოკიო. როცა მესამე ინტერნაციონალი მოსკოვის კონგრესზე ხმაროობდა უხეშ ენას, შეერთებულ შტატების წინააღმდეგ შეთქმულობას ამზადებდა და რუსეთის მოქალაქენი დასტურს აძლევდენ, მაშინ საბჭოების მთავრობა ამის მაყურებელი და მსმენელი განზე იხედებოდა, თითქოს ვერაფერს ამჩნევდაო»...

აზრთა სპეკულაცია და მარჩიელობა დაიწყო პრესამ, თუ რა პასუხს გასცემდა მოსკოვი, და სწორედ მოხდა ის, რასაც თითქმის ყველა სწერდა—რომ საბჭოები ისე სულელები არ უნდა იყვნენ, რომ უარზე დადგნენო.

ნ. კრისტინსკიმ უპასუხა: ჩვენ კომინტერნის მოქმედების პასუხის მგებელი არა ვართო...

ამან მოთმინების ფიალა აავსო. პრესამ ერთხმად დაჰგმო: უარესი პასუხის გაცემა არ შეიძლებოდაო. ხომ ქვეყანამ უწყის, რომ საბჭოების მთავრობა და კომინტერნი ისე არიან ჩახლართული და ერთად შეწნილი რომ ვერ გაარჩევ, რომელი რომელიაო. დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ნაწილი პრესისა იმასაც უმატებს—ახია პრეზიდენტ რუზველტზე—რატომ იცნო საბჭოებიო. დიდი ნაწილი პრესისა, პასუხისმგებელი პირები და ორგანიზაციები მოითხოვენ საბჭოებთან დამოკიდებულების შეწყვეტას. სინემებში და თეატრებში დაიწყეს საბჭოების საწინააღმდეგო ცნობების მოწოდება და სურათების ჩვენება. სხვათა შორის აჩვენებენ რუსეთის ტერიტორიაზე შიმშილისაგან მომაკვდავ ხალხის სურათებს. ამ სურათებს ეძლევა შესაფერი ახსნა და განმარტება. ბოლოს მოუწოდებენ: «ჩვენ არ გვინდა აქ ასეთი ცხოვრება და ასეთი მთავრობა, ვისაც მოსწონს, იქ წავიდესო», და ორთქმავალ გემს აჩვენებენ რუსეთისკენ მიმავალს...

საკვირველია, რამდენი მასალა ჰქონიათ და როგორ ამ პატარა ინციდენტმა ეს საჯაროთ გამოაჩინა.

შეერთებულ შტატების მთავრობამ ოთხი დღით დააგვიანა საბჭოების პასუხის პასუხი. ბოლოს საგარეო მინისტრმა კ. ჰოლმა გამოაქვეყნა, როგორც «ვაშინგტონ პოსტ» უწოდებს, «ჭკვიანი და დიპლომატური» წერილი, ალბად, «ვისაც ის ეხებოდეს», იმის საყურადღებოდ. ამ წერილში საგარეო მინისტრი იმეორებს, რომ საბჭოებმა დაარღვიეს დაპირებანი, რომ მათ ვერ უარყვეს დანაშაულობის ფაქტები, რომ საბჭოებს არ შეუძლიათ უარყონ პასუხისგებლობა შეუძლებლობის მიზეზით და სხვა... და ათავებს იმით, რომ საბჭოების მომავალ მოქმედებაზეა დამოკიდებული, თუ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა გაუარესდაო.

თვით მოსკოვის კონგრესის შთაბეჭდილება გადმოცემულია ბოლშევიკების მეგობარ «ნიუორკი ტაიმსის» კორესპონდენტი ვოლტერ დურანტის მიერ (მოსკოვი 21 აგვისტო), სადაც სხვათა შორის ავტორი ამბობს:

«გამოცდილი საზღვარ გარეთელი დამსწრენი და მიმომხილველნი ფიქრობენ, რომ კონგრესი იყო მხოლოდ დიდი გამოფენა სიტყვების რახა-რუხისა და თავქარიანობისა, რომ «შეერთებული ფრონტის» ტაქტიკა ნამდვილად იყო მანევრები ნიღაბის ჩამოსაფარებლად გაკოტრებულ კომუნიზმისთვის, რომელიც უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში წინ ვერ წაიწია, პირიქით დამარცხდა სასტიკად გერმანიაში, იტალიაში, ესპანიაში და სხვაგან... მასთან, საბჭოების ცდა კაპიტალისტურ ქვეყნებთან დამოკიდულების გასაუმჯობესობლად სასირცხო მდგომარეობაში აყენებს კომიტერნს, რითაც აიხსნება თანდათან მისი პრესტიჟის და გავლენის დაკარგვაო»...

—

სანამ რუსეთ-ამერიკის ნოტების გამოცვლა დაიწყებოდა, თითქმის ერთი კვირის წინეთ ე. ი. აგვისტოს 20-22, ნიუორკის შტატის მუშათა ფედერაციას ქონდა კონგრესი ნიუორკის შტატის სატახტო ქალაქ ალბანში, რომელსაც დაესწრო შვიდასზე მეტი დელეგატი. ამ კონგრესმა დაჰგმო მოსკოვის ტრაბახი, რომ თითქოს კომუნისტებს რამე გავლენა ჰქონოდეთ ამ ორგანიზაციაში. ამ კრებაზე აღმოჩნდა მხოლოდ ერთი კომუნისტი დელეგატი, რომელიც გაძევებულ იქნა 700 ხმით (მხოლოდ ორი დელეგატი იყო წინააღმდეგი გაძევებისა).

კონგრესის რეზოლუციაში ვკითხულობთ:

«. . . ჩვენ მზადა ვართ დავხვდეთ კომუნისტების მოქმედებას... სრულიად ამერიკის მუშათა ფედერაცია უჩვენებს, რომ მათ ნიადაგი არა აქვთ ჩვენს შორის»-ო...

—

აქაური პრესა გამოეხმაურა მოსკოვიდან მიღებულ ცნობას, რომ იქიდან გამოაძევეს პოლონეთის ვეტერანი ჟურნალისტი იან ოტმარ ბერსონი, კორესპონდენტი «დეპეშათა სააგენტოსი» და ოფიციოზურ გაზეთის «გაზეტა პოლსკა» სი.

ბოლშევიკების მთავრობა და მოსკოვის «პრავდა» დამსახურებულ კორესპონდენტს ოთხ დანაშაულობას აბრალებენო:

1) მან რუსებს უწოდა «მატყუარობის ჩამპიონები»-ო.

2) რუსების ახალგაზდობას მასხარად იგდებსო.

3) რუსებს პოლონეთის ტერიტორიის შეძენის განზრახვას აბრალებსო.

და 4) ჟურნალისტს ბრალად ედება ცნობის მიწოდება თავის გაზეთისთვის, რომ საბჭოების ფერმაში მაიმუნის და ადამიანის შეუღლების «ექსპერიმენტებს» აკეთებენო... გაბედული კორესპონდენტი აქ რომ გაჩერებულიყო, შეიძლება ხიფათისთვის თავი დაეხწია, მაგრამ მიუმატებია: «რათა გააუმჯობესონ საბჭოების მცხოვრებთა მომავალი მოდგმაო».

აქაური კორესპონდენტი დასძენს: მართალია, ბოლშევიკებს სჯირიათ თავის ჯიშის გაუმჯობესობა, მაგრამ ვაი თუ ხსენებულმა «საშვალებამ» ბოლშევიკებს ვერ უშველოს და მაიმუნებში კი ბოლშევიზმი და არევდარევა შეიტანოსო...

ნაური.

ქართველთა კულტურა ვარშავაში

გასული წლის მაისში არჩეული კომიტეტი ენერგიულად შეუდგა მუშაობას. უპირველესი მიზანი იყო, უთანხმოების მოსპობა ემიგრანტებს შორის. ამას ხელი შეუწყო თვით კომიტეტის შემადგენლობამ, რომელშიც ყველას ყავდა თავისი წარმომადგენელი. გამოირკვა, რომ შესაძლებელი ყოფილა ემიგრანტებს შორის თანხმობა, ძმური თანამშრომლობა. ყველა გაერთიანდა ლოზუნგით: ერთად გაჭივრების შესამსუბუქლებლად. გული გვესერება, როცა გვესმის სხვა ქვეყნებში ჩვენს ძმებს შორის უთანხმოების ამბები. ვფიქრობთ, თუ მოწინავე ქართველები ჩაუკვირდებიან ჩვენს და საერთოთ ემიგრაციის მდგომარეობას, მივლენ იმ დასკვნამდე, რომ ძალა ერთობაშია.

ვარშავის კომიტეტმა მუშაობის გამოსაცხოველებლად შექმნა სამი კომისია: 1. ეკონომიური, 2. საპროპაგანდო და 3) კულტურული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი კომისიის მოვალეობას შეადგენს სახსრების შოვნა გაჭივრებულ ემიგრანტების დასახმარებლად, კომიტეტთან ერთად, სათანადოთ მომზადება ტრადიციული ქართული ბალის თუ სხვა გასართობების, და აგრეთვე გაჭივრებული ქართველების სამუშევარზე მოწყობა. საპროპაგანდო კომისიამ თავისი მუშაობის მიზნად დაისახა გასწიოს პროპაგანდა ჩვენი საკითხის სასარგებლოთ. ამ მიზნით გაკეთებულ იქმნა ბ ნ ნაკაშიძის მიერ ქალაქ კატოვიცაში (პოლონეთის სილეზია) მოხსენება და აგრეთვე ქალაქ კრაკოვში. ამ ბოლო დროს ხშირად ნახავთ ადგილობრივ გაზეთებში ჩვენს და კავკასიის შესახებ წერილებს, რომელნიც არა სწორად აშუქებენ და ყალბად გადმოცემენ ფაქტებს. კომისიამ და ავალა ბ-ნ ინჟ. კანდელაკს, რათა უპასუხოს მათ არა მარტო გაზეთის საშუალებით, არამედ საჯარო მოხსენებითაც, რომელიც ახლო მომავალში მოეწყობა. ყველაზე უფრო სეიოიოზული მუშაობა შეასრულა კულტურულმა კომისიამ. გახსნილი იქნა ქართული ენის შესასწავლი კურსები და ბავშვებისთვის საკვირაო სკოლა. თვეში ერთხელ ყოველი თვის პირველ სამშაბათს «პრომეთეს» დარბაზში იმართებოდა მოხსენებები კავკასიის თუ საქართველოს აქტუალურ საკითხებზე. გაკეთდა შემდეგი მოხსენებები:

1) ბ-ნ ვას. ინჯიას «აჯანყება და მისი მომზადება».

2) მთიელ ბილატის «კავკასიის კონფედ. პაქტი».

3) ბ-ნ შალიკაშვილის «როგორ უნდა ვემსახუროთ სამშობლოს».

4) კოსტა ზანგის «წარსულის და აწმყოს გაკვეთილები».

5) ბ-ნ ბ. ქუთათელაძის «საქართველოს მეურნეობის ძალა».

6) ბ. შალიკაშვილის «გზები კავკასიის ემიგრაციისა».

უკანასკნელი მოხსენება წაკითხული იქმნა ბ-ნ თევზაძის მიერ «კავკასია, როგორც ერთეული».

ყველა მოხსენება იყო სადისკუსიო, დიდი ინტერესი გამოიწვია და ცხოველი კამათიც მოჰყვა.

ჩვენი დიდი მეგობარი პროფესორ პონიატოვსკის მიერ რამდენჯერ მოწვეულ იყვნენ მთელი კავკასიის კოლონიის წევრები, რათა გამოერკვია ჩვენი ერების ზნე ჩვეულებანი—ქორწინება, ტირილი და სხვა.

ხშირათ კომიტეტი სტუმრებთან ერთათ აწყობს ჩაის ერთმანეთის დასაახლოვებლად.

კულტურული კომისიის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ვარშავაში ქართული წიგნთ-საცავის მოწყობა. კომისიამ გაგზავნა თავისი წარმომადგენლები ყველა ქართულ ოჯახებში ქართული წიგნების მოსაგროვებლად. აგრეთვე სახსრების და მიხედვით გამოწერილ იქმნა საქართველოდგან წიგნები. ასე რომ დღეს უკვე გვაქვს კარგა ლამაზი წიგნთ-საცავი გვაქვს 500 ქართული წიგნით, და ყოველივე ზომებია მიღებული მის გასამდიდრებლად.

კომიტეტმა მოიწვია 1937 წელში რუსთველის დღის მოსაწყობად მოწინავე ქართველების სხდომა, აგრეთვე კომიტეტის თ-რემ, კ. იმნაძემ სთხოვა პოლონეთის ლიტერატურის აკადემიის თ-რეს დახმარება. შესდგა სპეცინლური კომისია, რომლის მოვალეობას შეადგენს მასალების დაგროვება და პოლონურ საზოგადოებისთვის ჩვენი დიდი პოეტის სათანადოთ გაცნობა.

ჩვენს კოლონიას თავის მუშაობის დროს მჭიდრო კავშირი აქვს კავკასიის ერების კოლონიებთან. ხშირად გვაქვს საერთო შეხვედრები. ივლისში მოწყობილ იქმნა საერთო გამგზავრება კრაკოვში, რათა «მარშალის გორაკზე» დაგვეყარა კავკასიიდგან ჩამოტანილი მიწა.

ახალგაზდებს აქვთ თავისი კავშირი, რომელშიც თავმოყრილია 25 წევრი და რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზდობის კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ყველა ქართველი ახალგაზდები წევრად არიან «ოკაემი»-ს, რომლის კავკასიის სექციის თ რედ არის სტუდენტი ქალი ცოტაძე, და აქ პოლონელი ახალგაზდობა ეცნობა კავკასიის საკითხებს და ერებს.

დაარსებულია ცალკე ქალთა კავშირიც, რომლის მუშაობა ჯერჯერობით მეტად მოისუსტებს.

ვარშაველი.

წერილი ხარბინიდან

ამა წლის 30 ივნისს და 7 ივლისს მოხდა ხარბინის ქართველთა საზოგადოების წლიური საერთო კრება, რომელსაც დაესწრო წევრთა დიდი უმრავლესობა. კრების თავმჯდომარედ არჩეული იყო პ. გ. თევზაძე, მდივნად ი. ა. პატიეშვილი.

განვლილი წელი საზოგადოებისთვის იყო მეტად მნიშვნელოვანი, ვინაიდან კულტურულ-ეკონომიური არე შედარებით წინა წლებთან გაფართოვდა და, ამისდამიხედვით, საზოგადოებრივი ცხოვრებაც უფრო ინტენსიური შეიქნა. განვლილმა წელმა წარმოშვა ბევრი საჭირბოროტო კითხვები და საერთო კრებას, ასე თუ ისე, ყველა ამისათვის უნდა გაეწია ანგარიში და თავისი მსჯავრი გამოეტანა.

კრებამ დიდის ინტერესით მოისმინა გამგეობის მოხსენება და აგრეთვე სარევიზიო კომისიის დასკვნები.

მთავარი კითხვები, რომელთა გარშემო სწარმოებდა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა, იყო შემდეგი:

1) სწავლა განათლების მდგომარეობა.

2) შემოსავალ-გასავალის ანგარიში 1934-1935 წ.

3) საზოგადოების 30 წლის არსებობის აღსანიშნავად იუბილეს გადახდა.

4) მომავალი 1935-1936 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

5) ბიბლიოთეკის მდგომარეობა და სხვა.

გამოირკვა, რომ გასული წლის საერთო კრების დადგენილების თანახმად ალ. მდივნის მიერ სწავლის საჭიროებისთვის შემოწირული თანხიდან დაუფარავთ 1933 წელში ახალი სახლების აშენებით გამოწვეული ვალი. სამაგიეროდ, სახლების შემოსავლიდან უნდა აღდგენილიყო ალ. მდივნის ფონდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოხმარებოდა სწავლა განათლების საქმეს. ვინაიდან სახლების შემოსავალი ვერ ფარავდა სრულად საზოგადოების სხვადასხვა საჭიროების ხარჯს, ამიტომ გამგეობას ახალი სესხი აუღია 4.500 გობი. მომავალი წლის განმავლობაში საზოგადოება იძულებულია დაადგეს ხარჯის შემოკლების გზას, მაგრამ საერთო კრებამ სასურველად სცნო, შენახულ იქნას ქართული ენის გაკვეთილები ორ რუსულ საშუალო სკოლაში, სადაც სწავლობს ქართველი მოწაფეების უმრავლესობა. საჭიროდ იქნა მიმჩნეული, რომ მიექცეს გაორკეცებული ყურადღება საერთოდ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მოხსენება-ლექციების გამართვით, ეროვნული დღესასწაულების, განსაკუთრებით 26 მაისის გადახდით დასხვადასხვა.

მიმდინარე წლის მარტის თვეში გამგეობას უხუცეს ქართველთა მონაწილეობით, გადაუწყვეტია გადაიხადოს შემოდგომის თვეებში ქართველთა საზოგადოების არსებობის 30 წლის თავი. ამ თვიდანვე გამგეობასთან მუშაობდა საუბილეო კომისა, რომელსაც შეუდგენია საკმაოდ ვრცელი ისტორია საზოგადოების. კრება იწონებს გამგეობის წინადადებას ამ წიგნის გამოცემის შესახებ ეროვნულ მოღვაწეთა და გამოჩენილ პირთა სურათების დართვით და აგრეთვე შესავალ ნაწილში საქართველოს მოკლე ისტორიის მოცემით. წიგნის გამოცემა განზრახულია უცხო ენაზე, ქართული სტამბის უქონლობისა გამო. წიგნის გამოსაცემი თანხა უნდა მოგროვდეს წინასწარ იმ პირთა შორის, რომლებიც მოისურვებენ საიუბილეო წიგნში რეკლამების მოთავსებას.

იუბილეს დღესთან დაკავშირებით უნდა გაიმართოს ქართული საღამო, რაც შეიძლება მეტი ეროვნული ელფერით.

საერთო კრების მიერ მოწონებულ იქნა წინადადება, რომლის ძალით საზოგადოების წევრისთვის აკრძალულია იყოს წევრად უცხო ეროვნულ და პარტიულ ორგანიზაციებში. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ქართველთა საზოგადოებას და მის წევრებს საერთო არა აქვთ რა თითო-ოროლა გადაგვარებულ პირთან, რომლებიც, ალბათ, გულუბრყვილოთა შეცდომაში შესაყვანად, საჯაროთაც გამოდიან ქართველების და ქართველი ერის სახელით.

ბევრი სჯა-ბაასის და აწონ-დაწონის შემდეგ კრებამ დაამტკიცა 1935-1936 წლის ხარჯთ-აღრიცხვა შემდეგი სახით: შემოსავალი 5.870 გობი;

გასავალი 6.186 გობი.

გამგეობის მოხსენების გათავების შემდეგ, თავმჯდომარე, ექიმი ჯიშკარიანი აცხადებს, რომ დროს უქონლობისა გამო, არ შეუძლია მომავალ წელში მონაწილეობა მიიღოს გამგეობის შემადგენლობაში და ამიტომ ხსნის თავის კანდიდატურას.

კრება ღებულობს რა მხედველობაში გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენებებს და მათ მიერ გაწეულ შრომას, მადლობას უცხადებს მათ. შემდეგ კრება იხურება.

7 ივლისს ხდება კრების გაგრძელება და არჩევნები. ფარული კენჭის ყრით და ხმის უმეტესობით არჩეულ იქნენ: გამგეობის წევრებად: ვ. ცერცვაძე, ვ. ცაგარელი, კ. მახვილაძე, ანთ. მიქათაძე, შ. მუჟედლიშვილი, გ. ნიკოლაძე; კანდიდატებად: დ. გაგუა, ს. მატახერია და ივ. დანელია.

სარევიზიო კომისიის წევრებად: გ. ბარამიძე, იონა თამაშვილი, ი. მილორავა. კანდიდატებად: ვ. გამყრელიძე და დ. გეგენავა.

10 ივლისს გამგეობის პირველ საორგანიზაციო სხდომაზე არჩეულ იქნენ: თავმჯდომარედ ვ. მ. ცერცვაძე, ამხანაგად კ. მ. მახვილაძე, მდივნად გ. ე. ნიკოლაძე, ხაზინადრად ა. ფ. მიქათაძე.

გამგეობამ დაამტკიცა სახელმძღვანელო გეგმა და მორიგი მუშაობა გაანაწილა კომისიებს შორის.

ვ. ახვლედიანი.

აჯანყების წლისთავი

კვირას 1 სექტემბერს ალიანს ფრანსეს დარბაზში გაიმართა საფრანგეთში მყოფ ქართველთა საზოგადოების საერთო კრება 1924 წ. აჯანყების წლის თავის აღსანიშნავად.

თავმჯდომარემ დ. სხირტლაძემ თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნა ის დიდი მსხვერპლი, რომელიც გაიღო ქართველმა ერმა ამ აჯანყების დროს და რომელიც იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი ერი არასოდეს დასთმობს თავის დამოუკიდებლობას და იგი მას დაიმკვიდრებს საბოლოოდ.

შ. ამირეჯიბმა განასხვავა რევოლუცია და აჯანყება, რომელიც არის ბრძოლა სისხლისა და რასისათვის, თავისებურობისათვის, საკუთარ მეობისათვის. გაიხსენა ზოგი დამახასიათებელი მომენტი აჯანყებისა და დევნა და ხოცვა ქართველებისა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქართველები იყვნენ.

ს. ფირცხალავამ წაიკითხა მოხსენება აჯანყებასთან დაკავშირებით «ჩვენი ეროვნული გამძლეობის» შესახებ.

დასასრულ შ. ბერიძემ მოაგონა საზოგადოებას რამდენიმე ეპიზოდი განსვენებული ქ. ჩოლოყაშვილის ცხოვრებიდან.

ახალი წიგნი

გამოვიდა გ. გვაზავას გადმოთარგმნილი ესხილის «მიჯაჭული პრომეთე». ეს მესამე წიგნია (კრებიონის «ფარსმანის» და რასინის «მითრიდატის» შემდეგ), რომ შეეძინა ჩვენს ღარიბ ემიგრანტულ ლიტერატურას ბ. გვაზავას ხელით. ეს ნაწარმოებიც ისე როგორც წინანდელები, კარგი ქართულით და ცოცხალი ლექსითაა გადმოღებული. წიგნი სუფთადაა გამოცემული დ. ხელაძის მიერ.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.